# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

№ 87 (5688)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## დომინოს პრინციპი



გაურკვევლობა ათასგვარ ჭორს ბადებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვილაც-ვილაცეები დაბეჯითებით ამბობენ, სოხუმს ბიჭების გაშვება მოსკოვმა უბრძანა, ახლა ისღაა გასარკვევი, თვით მოსკოვს ვინ და რის ფასად სთხოვა ესო

3-4

◉ ასე ვერ გავფრინდებით!

2

## ხალხი - ალთას, ხელისუფლება - ბალთას?!



◉ რადიკალური ოპოზიცია

ქურთა და თამარაშენი სანაკოევის კი არა, იქაური მოსახლეობის სისხლის ფასადაა შენარჩუნებული. ეს არის ძალიან სახიფათო თამაში და სად მიგვიყვანს, ძნელი სათქმელია



3-4

## ფრჩხილებჩრიჩქნია პარლამენტარ ქალბატონზე, კობა დავითაშვილსა და ერის რჩეულთა მოვალეობაზე



7-8

## უკონტროლობა და დაუდევრობა სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების მიზეზია

8

## „ვარდების რევოლუცია" ეროვნულ ბიბლიოთეკაში



5

ვინ არის პასუხისმგებელი ქართველოლოგიური უნიკალური წიგნადი ფონდის უსაფრთხოებასა და ხელშეუხებლობაზე?

● მთელი ხელისუფლება ზოგადად თუ კონკრეტულად ერთს ამტკიცებს, ხალხი კი მას და მათ არ ენდობა და საპირისპირო პოზიციაზე დგება!
სხვა რა არის ეს, თუ არა უნდობლობა?
უნდობლობის მდინარით დაშორიშორებულნი კი ნაღდად „ვერ გავფრინდებით“



◎ ასე ვერ გავფრინდებით!

# ხალხი – ალთას, ხელისუფლება – ბალთას?!

## თუ მათ შუა უნდობლობის მდინარე ჩაუდით!..

**„გამოღმით შენ ხარ, გაღმით – მე, შუა ჩაგვიდის მდინარე“...**

**შესანიშნავი სიმღერაა. კარგად ჟღერს და ყურ-გულსაც ესალბუნება, როდესაც საქმე მდინარის საპირისპირო ნაპირებზე მყოფი შეყვარებული ქალვაჟის გრძნობებს ეხება.**

**მაგრამ თუ ლაპარაკია ხალხისა და ხელისუფლების გამყოფ მდინარეზე, თანაც უნდობლობისაზე, მაშინ, როგორც იტყვიან, „ვერ გავფრინდებით“...**

**რამ გამახსენა ეს სიმღერა და, რაც მთავარია, რამ გამაკეთებინა ასეთი არცთუ ოპტიმისტური დასკვნა?**

**ან იქნებ ის, რამაც ასეთ პესიმისტურ განწყობაზე დამაყენა, სულაც არ არის რეალობა და მე მეჩვენება?**

**არა მგონია! აშკარა უნდობლობაა (ან, უკეთეს შემთხვევაში, ხალხის აზრპოზიციის აბუჩად აგდებაძ, თანაც ორმხრივი: არც ხელისუფლება მიიჩნევს რამედ ხალხს და არც ხალხის უმეტესობას თუ არა, ძალიან დიდ ნაწილს მაინც სჯერა (იქნებ ამიტომაც!ძ ხელისუფლებისა!**

**თუმცა უმჯობესია მკითხველმა განსაჯოს!**

ამ რამდენიმე დღის წინათ აფხაზმა სეპარატისტებმა სამი დატყვევებული ქართველი სტუდენტი გაათავისუფლეს.

ამან მეც, ისევე როგორც ნებისმიერი ქართველი, ძალიან გამახარა. თანაც ორმაგად გამახარა.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბიჭებმა მარტო მათთვის კი არა, ჩვენთვისაც უსასრულოდ გაწელილ ორ თვეზე ოდნავ მეტი ხნის პატიმრობას დააღწიეს თავი და, რაც მთავარია, როდესაც ასეთი გულანთებული პატრიოტი ბიჭები გვყავნან, გულს იმედი გვესახება, რომ ალგეთს, უკაცრავად ასეთი გამოთქმისთვის, გაბერწება არ უწერია!

არადა, რა აჟიოტაჟი იყო ატეხილი მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებით:

**– სანამ ქართველი ძალოვნების მიერ დაპატიმრებულ გალის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სიგუას არ გაათავისუფლებენ, ამ ბიჭების გამოშვებაზე ნურც იოცნებებთო,** – ყინჩად აცხადებდნენ შამბა, ქიშმარია თუ ულიარებელი აფხაზეთის „რესპუბლიკის“ სხვა თვითმარქვია „ხელმძღვანელები“...

ამ სამიოდე კვირის წინათ, ტელეკომპანია „იმედის“ „ღია ეთერის“ ინტერაქტიური გამოკითხვის კითხვა ასეთი იყო: **უნდა გაიცვალოს თუ არა სიგუა დაპატიმრებულ სტუდენტებში?**

**გამოკითხულთა და თვით გადაცემის მონაწილეთა** (მასში, სხვათა შორის, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებთან ერთად, მონაწილეობდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი შოთა მალაშხიაც, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობებით უშუალოდ არის დაკავშირებული აფხაზეთის პრობლემატიკასთანძ **აზრი ერთსულოვანი იყო: უყოყმანოდ უნდა გაიცვალოს!**

რად დამჭირდა ამის ხაზგასმით გახსენება?

3 მაისს, ხუთშაბათ საღამოს, როდესაც სტუდენტთა გათავისუფლებასთან დაკავშირებით პრეზიდენტი სახელმწიფო კანცელარიასთან შეკრებილ ხალხს მიმართავდა, ტელეეთერში რამდენჯერმე გავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება იმის თაობაზე, **რომ სტუდენტები არავის არავისში არ გაუცვლია და ის ვინმე სიგუაც თურმე ქართველ ძალოვნებს საერთოდ არ დაუპატიმრებიათ (?!ძ.**

**სხვა რა იყო ეს, თუ არა, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, ხალხის აბუჩად აგდება?**

**თუ მართლა ასე იყო, იმავე სამინისტრომ რად „აყეფა“ ხალხი რადიო-ტელევიზიითა თუ პრესით, იმთავითვე, თუნდაც იმ „ღია ეთერის“ შემდეგ, რად არ განაცხადა, რომ სიგუა არავის დაუპატიმრებია? ან იგივე რად არ უთხრეს შამბა-ქიშმარიებს და მათნაირებს, რად არ აგრძნობინეს, თქვენ სიგუა სხვაგან, საქართველოს ფარგლებს გარეთ ეძიეთო?**

ყოველმხრივ არ აჯობებდა ასე?

ვითომ განსაკუთრებული სახელმწიფო საიდუმლოება იყო ეს და ამიტომაც არ უთხრეს სიმართლე საკუთარ ხალხსაც კი?

... გასულ პარასკევს ინგა გრიგოლიას „რე-აქციის“ მთავარი ბლოკიც სტუდენტების გათავისუფლებას ეხებოდა: **„ინტერაქტივის“ კითხვაც ასეთი იყო: რის შედეგად გათავისუფლდნენ სტუდენტები?**

პასუხი სამი სახისა გახლდათ: **პირველი პირების შეთანხმებით; საერთაშორისო ზეწოლით; გაცვლით.**

**იმთავითვე მესამე ვარიანტი „დაწინაურდა“, თანაც უდიდესი უპირატესობით!**

**სწორედ მაშინ გამიჩნდა ეჭვი, რომ ხალხი ხელისუფლებას, მის წარმომადგენლებს არ ენდობობა.**

ამ ბლოკის რაღაც შუა ნაწილში ინგა გრიგოლიამ მაყურებელს „იმედის“ ჟურნალისტთა მიერ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებისგან აღებული ინტერვიუები გააცნო.

თავიანთი პოზიციები გამოხატეს მაია ნადირაძემ, დავით კირკიტაძემ, კოტე გაბაშვილმა.

**სამივე, როგორც იტყვიან, აღნიშნული უმრავლესობის „სახეა“.**

**სამივემ, როგორც იტყვიან, „ვენები გადაიჭრა“ – არავითარი გაცვლა არ ყოფილა, სტუდენტები იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ჩვენი ძალა ვაგრძნობინეთო.**

თუ ასეა, რა სჯობს ამას!

მაგრამ ხალხმა მაინც არ დაიჯერა:

**ინტერაქტიურ გამოკითხვაში მონაწილეთა მხოლოდ დაახლოებით სამმა პროცენტმა დაუჭირა მხარი სავარაუდო პასუხების პირველ ვარიანტს, დაახლოებით თექვსმეტმა – მეორეს, ოთხმოცმა პროცენტმა კი – მესამეს.**

ანუ სტუდენტები სიგუაში გაცვალესო!

**რა გამოდის? მთელი ხელისუფლება ზოგადად თუ კონკრეტულად ერთს ამტკიცებს, ხალხი კი მას და მათ არ ენდობა და საპირისპირო პოზიციაზე დგება!**

**სხვა რა არის ეს, თუ არა უნდობლობა?**

**უნდობლობის მდინარით დაშორიშორებულნი კი ნაღდად „ვერ გავფრინდებით“.**

თქვენ რას იტყვით, მკითხველო?

**დაბოლოს: თვით საბჭოთა კავშირს, მართლაც „ბოროტების იმპერიას“, ატომური იარაღით აღჭურვილსა და ყოვლის შემძლეს, არ რცხვენოდა, რომ ღიად გაეცვალა დატყვევებული ამერიკელი მზვერავი მოწინააღმდეგის მიერ შეპყრობილ საკუთარ ჯაშუშზე და ჩვენ ვითომ რისი გვეხათრება?**

თუ მართლა გავცვალეთ, ცხადია!

**ხოლო თუ მართლა არ გაგვიცვლია და ოდენ საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა „დავამოკლებინეთ ხელები“ გათავხედებულ სეპარატისტებს, მაშინ ასგზის ბარაქალა ჩვენს ხელისუფლებას!**

თუმცა ამ შემთხვევაშიც კი მას არ აწყენდა, და აუცილებელიც იყო, უტყუარი ინფორმაციით დაერწმუნებინა საკუთარი ხალხი ამაში და ცილისმწამებელი სეპარატისტებისთვისაც ბურთი ჩაეჩარა პირში.

ეს აუცილებელიც იყო და არის კიდეც!

**სხვაგვარად ის ერთგვარი გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომი, რომელიც უკვე ხელშესახებად იგრძნობა ჩვენს ხელისუფლებასა და ხალხს შორის, ვერ დაიძლევა.**

უამისოდ კი წინსვლა გაგვიჭირდება!

**რუსულან რუსია**

◎ საპროტესტო აქცია

# ოპოზიცია „შიმშილის რევოლუციით“ იმუქრება, მაგრამ არის კი ქვეყანაში სამისო სიტუაცია?!

**რევოლუციური სიტუაცია მწიფდება მაშინ, როდესაც ზედა ფენებს აღარ ძალუძთ ძველებურად მართვა, ქვედა ფენებს კი – აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება, – ამბობდნენ მარქსისტები, რომლებიც ამ საკითხში ნამდვილად გამოცდილები იყვნენ, საქართველოშიც უკვე საკმაოდ შევეჩვიეთ მსგავს სიტუაციებს, „ვარდების რევოლუციაც“ ამის ნათელი მაგალითი იყო.**

7 მაისს, 13 საათზე, პარლამენტის შენობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ „ჩვენი უფლებებისათვის“ ხანმოკლე ბრიფინგი გამართა. ბრიფინგის მონაწილეებმა თქვეს, რომ მრავალდღიან საპროტესტო აქციებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ, მოსალოდნელია სოციალური მოთხოვნები პოლიტიკურში გადაიზარდოს, ქვეყანაში კი კიდევ ერთი რევოლუცია მოხდეს, ამჟამად – „შიმშილის“!

**დავით ლილუაშვილი (კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ძ:**

თუ ხელისუფლება გონს არ მოეგება და ხელს არ აიღებს იმ ანტისახალხო, ანტისოციალურ პოლიტიკაზე, რომელსაც ყოველდღიურად ახორციელებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ დავაყენებთ სხვადასხვა სახელმწიფო მოხელისა და თანამდებობის პირის – ნინო ბურჯანაძის, ზაზა ბებაშვილის, გიგი უგულავას და სხვათა პასუხისმგებლობის საკითხს.

რატომ მაინცდამაინც ისინი? – პარლამენტში უნდა განიხილონ კანონპროექტი იმ აბსტრაქტული და კაბალური მოსაკრებლის შესახებ, რომლის დაწესებასაც აპირებენ კულტურული მემკვიდრეობის ზონებში. ასევე საკრებულოს სხდომაზე განიხილავენ წყლის ტარიფის ზრდის საკითხს, მუნიციპალური ტრანსპორტითა და მეტროპოლიტენით სარგებლობის საკითხთან ერთად. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ გადასახადები მართლაც გაიზრდება. ეს მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენს მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ჩვენი აღშფოთებაც და ისიც, რომ სოციალური მოთხოვნებიდან პოლიტიკურ მოთხოვნათა რეჟიმზე გადავიდეთ.

რაც შეეხება ბიუჯეტის შევსებას: ხელისუფლების წარმომადგენლებს ვურჩევთ, ასტრონომიული ციფრებით დანიშნული საკუთარი ხელფასები შეამცირონ, როდესაც დაიზოგება უამრავი თანხა, რომელიც კაცმა არ იცის რას ხმარდება, ბიუჯეტიც შეივსება და ხალხიც ამოისუნთქავს!

**ლეილა გაფრინდაშვილი („ჩვენი უფლებებისათვის“ძ:**

ამბობენ – ბიუჯეტი 5-ჯერ გაიზარდაო. სად მიდის ეს თანხები; რატომ არის მოსახლეობის 54 პროცენტი სიღარიბის ზღვარზე? თუ ასე გაგრძელდა, ზამთარში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სიბნელესა და სიცივეში აღმოჩნდება და შესაძლებელია, „ხავერდოვანი“ კი არა, „შიმშილის რევოლუცია“ მოხდეს. ამგვარი რევოლუცია რუსეთში ერთხელ უკვე მოხდა და რა შედეგიც მივიღეთ, ყველამ კარგად ვიცით.

ამიტომ, ჩვენ მოვითხოვთ ისეთი გადასახადების დაწესებას, რომელსაც მოსახლეობა შეწვდება და გადაიხდის. სამწუხაროდ, საკრებულოც და პარლამენტიც დღეს ხალხის ინტერესებს ვერ გამოხატავს. ისინი სადღაც „დაფრინავენ“ და რეალურად ვერ აფასებენ ხალხის მდგომარეობას. ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ის სოციალური ფონი, რომელიც დღეს ქვეყანაშია და მის გამოსასწორებლად იზრუნოს!

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ ბრიფინგი

# გაძვირებული სამედიცინო მომსახურებით ხალხს სიკვდილი ემუქრება?!

**გუშინ რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან სამედიცინო მომსახურების გაძვირების გამო ლეიბორისტულმა პარტიამ ბრიფინგი გამართა, სიტყვით გამოვიდა გიორგი გუგავა. მან განაცხადა, რომ ეს რეფორმები ითვალისწინებს საავადმყოფოების გაყიდვასა და ნგრევას, სტაციონარული მკურნალობა ხელმიუწვდომელი გახდება ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის, რადგან ყველა ოპერაცია 1000 ლარით გაიზარდა, რაც მოსახლეობას, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს.**

არჩევნებამდე მშობიარობა უფასო იყო, არჩევნების შემდეგ კი მისი ფასი 500 ლარი გახლდა. კისრის მალების მოტეხილობის ოპერაცია 1755 დან – 2793 ლარამდე გაიზარდა, თავის ქალას ფუძის მოტეხილობა – 1292 ლარით და ა.შ.

– სანამ სიკვდილის ჟამი არ დაგვდგომია, გამოვიდეთ 10 მაისს 3 საათზე აქციაზე და საააკაშვილის გადადგომა მოვითხოვოთ, – მოუწოდა გიორგი გუგავამ.

ქვეყანაში სოციალური მდგომარეობა თანდათან რომ მძიმდება, ამას ყველა ხედავს, ალბათ ხელისუფლებამ თავის გადაწყვეტილებებს უნდა გადახედოს. მოსახლეობის 80 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის და სამედიცინო მომსახურების ხარჯებს ვერ გადაიხდის. ხალხს ისღა დარჩენია, უსახსრობის გამო სიკვდილს სახლში დაელოდოს.

**მირანდა ფორჩხიძე,**
**მაია კილასონია**

№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

● გაურკვევლობა ათასგვარ ჭორს ბადებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვილაც-ვილაცები დაბეჯითებით ამბობენ, სოხუმს ბიჭების გაშვება მოსკოვმა უბრძანა, ახლა ისლაა გასარკვევი, თვით მოსკოვს ვინ და რის ფასად სთხოვა ესო



◎ კვირის თვალსაწიერი

# დომინოს პრინციპი

„ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე, ღმერთო!“

დაგბურძგლავს ისეთი მონატრებული სიტყვებია (მელოდია ხომ — სულ!ძ.

გვესიზმრებოდა ერთად ყოფნა და აგვიხდა: მზაკვარი მტრის ძლევის საზეიმო დღეებში აკი ერთად ვიყავით ყველანი: პრეზიდენტით დაწყებული „პერიფერიული“ სტუდენტებით დამთავრებული.

ისმოდა ორ რევოლუციასა და ერთ სამხედრო პუტჩში ალესილი სკანდირება „ჯოს... ჯოს... გაუმარჯოს“ და ა.შ.

ჩვენ ვიყავით გამარჯვებულნი და ამაყნი.

ჩვენ დავიბრუნეთ აფხაზეთ...ში ორი თვის წინათ დატყვევებული სამი სტუდენტი.

ჩვენ კუდით ქვა ვასროლინეთ „ბაღნებისჭამია“ სეპარატისტებს.

ჩვენ მათ მკაცრად და ქვეყნის გასაგონად ვუთხარით „ციც!“ — საზღვარი საქართველოსა და განმდგარ აფხაზეთს შორის არ არსებობს, საქართველოს საზღვარი გადის ფსოუსთან და არა ენგურთან; ყველა, ვისაც ეს ავიწყდება, საკადრის პასუხს მიიღებს; განთავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით მოხდა და ნურავინ ნურაფერს მიიწერს!...

როცა ამ ტყვიასავით დამიზნებულ სიტყვებს ამბობდა, ჩვენი პრეზიდენტი იყო მკაცრი და შეუვალი, მისი ხმა ჟღერდა საზეიმოდ და იმედიანად.

რაც მთავარია, მას სჯეროდა, რასაც ამბობდა.

არ სჯეროდა მხოლოდ ზოგიერთ სულსწრაფს, სულმოკლეს და უნდოს.

და მათ უკადრისი დისონანსი შეიტანეს ამ საყოველთაოდ მაჟორულ დღესასწაულში: სტუდენტები ვილაცებში (თუ ვილაცაშიძ გაცვალესო (სხვათა შორის, ამაში რატომლაც დარწმუნებულია გამოკითხულთა 80 პროცენტი!ძ, ბაღაფშის ხელი ურევიაო (ზოგი უფრო შორს მიდის — მოსკოვისო, აბა რატომ უსვამენ ხაზს საგანგებოდ, რუსეთი არაფერ შუაშიაო?ძ, მათი განთავისუფლება ჯერ კიდევ თვენახევრის წინათ შეიძლებოდაო, როცა პრეზიდენტი ტყვეთა მშობლებს შეხვდა და დახმარებას შეჰპირდა, უკვე ზუსტად იცოდა, რომ აფხაზები ბიჭებს ათავისუფლებდნენო, ეს ამხელა, უგემოვნო აჟიოტაჟი რა საჭირო იყოო და ა.შ.

ზოგი იმასაც ამბობს, პრეზიდენტის მუქარა, „ძალზე სერიოზულ ზომებს მივიღებთო“ და ბიჭების უმალვე გათავისუფლება, იმ საარაკო ამბავს გვაგონებს, შალვა ნათელაშვილმა ირანის საელჩოს ატაშეს რომ შეუკვეთა, თეირანში შენს ხელისუფლებას ჩემი სახელით სთხოვე ინგლისელი მეზღვაურების გათავისუფლებაო და ლეიბორისტთა ლიდერს პირი დახურულიც არ ჰქონდა, აჰმადინეჯადიმ მათ რომ თავისუფლების ფირმანი უწყალობაო.

როგორც გინდა თქვი და, მოხდა მართლაც ძალზე კარგი რამ — სტუდენტების ტყვეობიდან გამოხსნა. ოღონდ, ყველაფერი ძალზე გასაიდუმლოებულად წარიმართა, ამ აქციის „წყალქვეშა“ დეტალები უცნობი დარჩა ცნობისწადილით მისულმკვდარებული საზოგადოებისთვის. რამდენიც უნდა იძახონ ნაციონალებმა და ზოგიერთმა ოპოზიციონერმაც, ეს დეტალები საინტერესო სულაც არ არის, მთავარია, საქმე გაკეთდაო, მაინც ვფიქრობთ, სწორედაც საინტერესოა. და აი, რატომ: ჯერ ერთი, გაურკვევლობა ათასგვარ ჭორს ბადებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვილაც-ვილაცები დაბეჯითებით ამბობენ, სოხუმს ბიჭების გაშვება მოსკოვმა უბრძანა, ახლა ისლაა გასარკვევი, თვით მოსკოვს ვინ და რის ფასად სთხოვა ესო.

მეორე. რამდენიც უნდა ვიქნიოთ მუშტები, საზღვარი ფსოუზე გადის და არავის აქვს უფლება აფხაზეთში გადაადგილება აუკრძალოს საქართველოს მოქალაქეებსო, რეალურად დღეს, ჯერჯერობით, საზღვარი სწორედ ენგურთან გადის და სულაც არ არის იმის იმედი, რომ ხვალ კიდევ არ დაიჭერენ 3,5,7 ან სულაც 35 კაცს ამ თვითნებური საზღვრის თვითნებური გადაკვეთისათვის და კიდევ არ ატყდება ერთი ვაი-უშველებელი, სრულიად საქართველოს მასშტაბით (მხედველობაში 1990 წლის 1 იანვრის მასშტაბი მაქვსძ. ჰოდა, თუ ბატონ პრეზიდენტს რაიმე საიდუმლო სენთი აქვს ყოველი ასეთი უკანონოდ დაჭერილის თუნდაც ორი თვის შემდეგ გამოსახსნელად, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს, ხმის ამომღები ვინ არის, ყოველგვარ ეჭვს და საიდუმლოს გამხელის ყველა მოთხოვნას მტკიცედ ავლაგმავთ.

ოღონდ, ის მაფიქრებს, რომ სწორედ იმ დროს, როცა ბიჭების გამოშვების მოთხოვნა სტუდენტური აქციების დონეზე ბობოქრობდა, გალში ხუთი ქართველი კიდევ გაიტაცეს ჩვენმა ძმებმა აფხაზებმა...

მშრომელები მოითხოვენ: რაკილა უგზოუკვლოდ დაკარგულ-გამქრალი გალის ე.წ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავით სიგუას შესახებ აფხაზებისთვის ინფორმაციის გამხელას მოჰყვა ამ სტუდენტთა დახსნა (ზოგიერთი ინტრიგანი და ერის გამყიდველი სწორედ ასეთ ხმებს ავრცელებსძ, თუ ის კაცი ჩვენ გვყავს სადმე მოყუჩებული, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთო.

იხ. 4 გვ.

◎ რადიკალური ოპოზიცია

# სად გაქრა ხალხის მთავრობა?

## ნომრის სტუმარია გოგა ხაინდრავა



**— დღევანდელი საქართველო ათასგვარი შოუსა და პოპულიზმის ასპარეზად იქცა. გამოიკვეთა სტუდენტებისა და რესპუბლიკური პარტიის დაპირისპირებაც. ეთანხმებით ამ აზრს?**

— საქართველოში საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების ზეიმია, რაც, ბუნებრივია, პოპულიზმს გულისხმობს. ეს ყველაფერი უბრალო ხალხის მოსატყუებლადაა გამიზნული, ასევე — მუშტების ქნევა და სამშობლოს სიყვარულის მტკიცება.

ამ ახალგაზრდებისგან ნამდვილად არ ველოდი ჩაბეტონებულ კომკავშირულ აზროვნებას. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ნეოკომუნისტი კი არა, „ოლდკომუნისტები“ იქნებოდნენ. ასეთი მოქალაქეები კომშარადაც არ დამესიზმრებოდა. როგორც ჩანს, საქართველოში ევოლუცია შეუძლებელია, ყველაფერი ტალღურ სისტემაზეა აწყობილი. დღემდე საბჭოთა საზოგადოებად ვრჩებით. მოსემ 40 წელი ტყუილად კი არ ატარა უდაბნოში ებრაელი ერი. საბჭოთა კავშირი ეგვიპტეზე უარესი იყო. ჩვენც სწორედ ეგვიპტიდან გამოვედით, მაგრამ არა მგონია, ეს გამოსვლა ხანგრძლივვადიანი იყოს. სამწუხაროდ, ყველა „მოსეს“, ვინც ქართველობას წინ წარუძღვა, ხელში წითელი დროშა აღმოაჩნდა. შესაძლოა, მაღალფარდოვანი ლოზუნგებით მოვიდნენ, მაგრამ საბჭოთა მენტალობისანი იყვნენ.

ასე რომ, რაც ხდება, ყველაფერი ამის მიზეზია და გასაკვირიც არაფერია.

**— მაგრამ „წითელ“ ინტელიგენციასა და გადმონაშთებს ისინი სხვას უწოდებენ.**

— სხვებს რაც უნდათ, ის ეძახონ, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ხე ნაყოფით იცნობა და არა — ლაპარაკით. ბოკერია, კირკიტაძე, სამყურაშვილი რომ შეაერთო, მათ ყველას ერთი რობიკო სტურუა აჯობებს. ბუნებრივია, ნანა ალექსანდრიას გამოკლებით, რადგან ეს ქალბატონი ქართული სპორტის ლეგენდაა და დიდ პატივს ვცემ. დანარჩენებს — ყველას, ხელისუფლებაში მოკალათებულ უმრავლესობას თავისი მთავრობით რობიკო სტურუა გადაწონის საქართველოსთვის.

ვის უწოდებენ „წითელ“ ინტელიგენციას? ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა დროში დაიბადნენ? დაბადების დრო არაფერ შუაშია, ისინი ქართულ საქმეს, ქართულ თეატრს, კინოს, ხელოვნებას, მეცნიერებას, განათლებას ემსახურებოდნენ. ეს უკვე დიდი დამსახურებაა, რომელიც არ უნდა შეურაცხყო. ამით, უწინარესად, საკუთარ თავს შეურაცხყოფ. ვის არ უცხოვრია იმ დროში და იმ სისტემის სიმძიმე არ გამოუცდია?

თანაც, ვინ ლაპარაკობს ამ ყველაფერზე? — ადამიანები, რომლებმაც თავისუფლების პიროებებში საბჭოთა კავშირი აღადგინეს?

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

— ყველაფერი. საბჭოთა წყობაა, უკანონობა და ძალადობა, ავტორიტარიზმია გამეფებული. სასამართლო მოისპო, პოლიცია რასაც უნდა, იმას აკეთებს. ბოლშევიკურია იდეოლოგია და ამას არც მალავენ.

თუ დააკვირდებით, ხელისუფლების უმრავლესობის ენერგია ოპოზიციასთან პაექრობაში იხარჯება. ეს მტკიცედ აქვთ გონებაში ჩაცემენტებული, ხალხი კი არავის ახსოვს.

სად გაქრა ხალხის მთავრობა? მათი მეტროთი სიარული? ტელეფონებს რატომ არ უპასუხებენ მინისტრები? ჩვეულებრივი ავიარეისებით რატომ არ დაფრინავენ?.. ერთი სიტყვით, მათი დაპირებები დაპირებებად დარჩა. ბოლშევიკები ამას აკეთებდნენ, სხვას კი არაფერს! გამუდმებით იტყუებოდნენ. ზუსტად მათ მსგავსად იქცევა სააკაშვილი — ერთს ამბობს, მეორეს აკეთებს, თეთრზე შავიაო, ამბობს.

ასეთნი კომუნისტებიც კი აღარ იყვნენ ბოლოს, კეთილშობილების გამო კი არა, საკუთარი თავისთვის რაღაც საზღვრები ჰქონდათ დაწესებული. ამათ კი... 5 კაცი ქვეყანაში რასაც სურს, იმას აკეთებს. ჰიმნსაც და გერბსაც თავად ქმნიან, სხვისი აზრი არ აინტერესებთ. გამალებული გადანაწილება-გადმონაწილების პროცესია...

**— ცხინვალში ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა თქვენთვის მისაღებია?**

— ცხინვალის გამო ეს სააკაშვილის მერვე ინიციატივაა. წინა შვიდიდან არც ერთი ინიციატივა ბოლომდე არ მიუყვანია, ყველა მიგდებულია. არც კი გაუანალიზებიათ, რატომ არ განხორციელდა ეს ინიციატივები. ამიტომ ვფიქრობ, ეს ბოლო ინიციატივაც სხვა საქმეებივით ზედაპირული იქნება. ასფალტების დაგებისა არ იყოს. უკვე მესამე ზაფხული მოვიდა, ის გზები დაინგრა... ასეთია პოპულიზმზე დამყარებული პოლიტიკის შედეგი.

**— კონფლიქტების მოგვარებისთვის ძალისხმევასაც ზედაპირულად მიიჩნევთ?**

— ამ თვალსაზრისით არანაირი მიზანმიმართული მუშაობა არ მიმდინარეობს. დამისახელეთ, ერთი კაცი მაინც ამ ხელისუფლებაში, ვინც კონფლიქტების მოსაგვარებლად მუშაობს.

ვინ არიან ისინი? — ნოღაიდელი, 5-კაციანი გაპიარებული კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის ერთადერთი შეხვედრა ტელეკამერების წინ შედგა? თუ მალაშხია მუშაობს ამ თემაზე...

იხ. 4 გვ.

● ქურთა და თამარაშენი სანაკოევის კი არა, იქაური მოსახლეობის სისხლის ფასადაა შენარჩუნებული. ეს არის ძალიან სახიფათო თამაში და სად მიგვიყვანს, ძნელი სათქმელია



◎ კვირის თვალსაწიერი

# დომინოს პრინციპი

(მესამე გვერდიდან)

მართლაც: სიგუაზე მხოლოდ ინფორმაციის გამხელამ თუ სამი კაცი დაიხსნა (ისე, ნეტავ რა ინფორმაციაა ასეთი ორი ოკეანის საიდუმლო, რომ თვით ყველაფრის მთქმელი და ამჟამად ღალატში ეჭვმიტანილი პაატა ზაქარეიშვილიც კი ვერ გვიზიარებს, თუმცა ნამდვილად იცის?ძ, მისი ფოტოსურათის სოხუმში გაგზავნა უთუოდ ერთ სამს კიდევ დაიხსნის, თვით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დაბრუნებაში ხომ, ალბათ, სულაც მთელ გალს დაგვიბრუნებენ.

კვლავ მთავარ სათქმელს მივყვეთ: სამი ვითომ მსტოვარი სტუდენტის სეპარატისტთა კლანჭებიდან დახსნამ რწმენა შთაუნერგა საპარლამენტო უმრავლესობას, რომ რაკილა „დიპლომატია ძალის გარეშე არ არსებობს, ჩვენი მხარე ძლიერდება და ჩვენი დიპლომატიაც ძალას იკრებს“.

ამდენად, უეჭველია: ამ გაძლიერება-ძალმოკრებამ დღეს ტყვეების შინ დაბრუნება გახადა შესაძლებელი, ხვალ-ზეგ კი, უთუოდ მთელ ამერ-იმერს შემოგვიმტკიცებს.

და კიდევ: ამოქმედდა „დომინოს პრინციპი“ — ქვეყნისა და მისი დიპლომატიის გაძლიერება-ძალმოკრებას თავისთავად მოჰყვა თითოეული ჩვენგანის სულიერი და ხორციელი ამაღლება. პირველ ყოვლისა, ნატყვევარი ახალგაზრდებისა. ამიტომაც აცხადებენ დარწმუნებით: „ჩვენს თავს გმირებად ვთვლით“; „ჩვენ ტყვეობას გავუძელით, რადგან საქართველოს შვილები, გმირები ვართ“; „სამშობლოს იმედი ჰქონდეს, რომ მის გვერდით ყოველთვის იქნებიან ჩვენნაირი გმირები“.

აგაშენოთ ღმერთმა! ისე, ცხონებულმა მელიტონ ქანთარიამ ტყვიის წვიმაში რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აიტანა და მის დღეში ენა შარაზე არ გამოუდია, გინდათ თუ არა, გმირი ვარო. ვიცნობდი იმ მართლა გმირ კაცს და მახსოვს.

ასე და ამრიგად, სტუდენტები არა მხოლოდ თავისუფლები, არამედ გმირებიც არიან. მათ თვით ბატონმა პრეზიდენტმა ჩამოურიგა ღირსებით მედლები (ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ ღირსების ორდენები, ან სულაც გორგასლის ორდენები არა?ძ და ქართული მითებისა და ლეგენდებისკენ გაუწალდ-დაულოცა გზა.

(რა ამის პასუხია და ახლა აღარ მახსოვს, რითი დავაჯილდოვეთ, ან თუ არ დავაჯილდოვეთ, რატომ არ დავაჯილდოვეთ, ორიოდ წლის წინათ ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე, სახალხოდ და დამსწრეთა გასახარად, პირველივე შეძახილზე შესაშური ერთსულოვნებით, ომახიანად დაჩოქილი ჩვენი 50 ტყვე ჯარისკაცი? ეს ისე, სიტყვას მოჰყვა, თორემ ამ ამბავთან რა კავშირი აქვს!).

ნათქვამია, ხელი ხელს ბანსო. გამოხსნილთა რაინდად კურთხევა თვით პრეზიდენტმაც მარჯვედ გამოიყენა, მაგალითად, სახელმწიფო კანცელარიის წინ იმავე ღამეს საგანგებოდ დაძახებულ ხალხმრავალ სტუდენტურ მიტინგზე სიტყვის სათქმელად, სადაც მან სეპარატისტებს (და სხვა, ათასი ჯურის ძაღლს და მამაძაღლს) სუსხიანად შეახსენა, რომ საქართველო, წურას უკაცრავად, ველარ და აღარ მოითმენს და ა.შ.

მარტო ამ ცეცხლოვანი, მტრის დამზაფრავი შეგონების წარმოსათქმელად, ტყესავით აჯაგრული დროშების ლაღი ფრიალით შუბლის გასაგრილებლად, „ჯოს... ჯოს!“ მქუხარებით კიდევ ერთხელ ყელის ჩასაკოკლოზინებლად ღირდა ამ გმირი ბიჭების გათავისუფლება.

ადრენალინმა ერს სისხლი აუმოძრავა.

ამრიგად, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოიკლა.

დასკვნა: ხალხს დროდადრო სჭირდება ასეთი ხმაურიანჰეროიკულ-ზოგადპატრიოტული გათავისუფლებები.

ეს კია, გადატანილმა ვნებათაღელვამ და ენგურის ხიდთან მოწყობილი აქციის ნერვულმა მხურვალებამ ცოტა არ იყოს შეარყია ქართველ სტუდენტთა ერთსულოვნება, ერთმანეთთან ერთგვარად დააპირისპირა ისინი, რომლებიც აქციაში მონაწილეობდნენ და ისინი, რომლებიც არ მონაწილეობდნენ. უკვე გაისმა კარგა ხნის წინათ აპრობირებული „თქვენ... ჩვენ“, თითქოს პარლამენტში და პოლიტიკურ პარტიათა სპექტრში გვაკლდეს ურმის თვალგადავლილ ფუნასავით ორად გაყოფილი თქვენჩვენობა და შენჩემობა...

დაბოლოს: ამ დღეებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელიც ზოგს, ვაითუ, გამორჩა კიდეც: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის წვიმიან-მზიანი სანაპიროდან ჟანა დარკის ქართულ კვარცხლბეკზე თანდათან, მძიმე-მძიმედ, მაგრამ დაბეჯითებით მიიწევს ეკა ხერხეულიძე, რომელმაც ტელედებატებში ჯერ თავფეხიანად შეახრამუნა თენგიზ სიგუა, ახლახან კი ენით ძირს დასცა კობა დავითაშვილი, როგორც დავითმა — შურდულით გოლიათი.

საერთოდ, თუ გაიწია, ჩვენი ქალები მტკიცედ იმკვიდრებენ ხოლმე ადგილს იბერიელ შუბოსნებში: ლუიზა შაკიაშვილი, ირინა სარიშვილი, მაია ნადირაძე...

ახლა — ეკა!...

ღმერთო, შენ გვიშველე!

ალეკო ასლანიშვილი

◎ ინფორმაცია

## „იმედის“ წევრებმა იმედი დაკარგეს

პოლიტიკური გაერთიანება „იმედის“ წევრები გუშინ უზენაეს სასამართლოსთან შეიკრიბნენ, სადაც სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაპატიმრებული 12 განსასჯელის დახურული სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა.

შეკრების მიზანს ერთ-ერთი განსასჯელისთვის, მაია თოფურიასთვის დაბადების დღის მილოცვა წარმოადგენდა, თუმცა ეს ვერ მოხერხდა.

როგორც პარტიის ლიდერმა ირინა სარიშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, თავდაპირველად აქცია ციხესთან იყო დაგეგმილი, თუმცა მოულოდნელად, სასამართლო პროცესი დაინიშნა და აქციამ უზენაეს სასამართლოსთან გადაინაცვლა.

პარტიის წევრები სასამართლოსთან ყვავილებით გამოცხადნენ და სცადეს, თოფურიასთვის ისინი ადვოკატების საშუალებით გადაეცათ, თუმცა სასამართლოში ყვავილების შეტანა ადვოკატებმა ვერ მოახერხეს.

„ადვოკატებს განუცხადეს, რომ შემოწმების გარეშე ყვავილებს სამართლოზე ვერ დაუშვებდნენ, შემოწმების დრო კი არ ჰქონდათ. მათ ალბათ ჰგონიათ, რომ რომელიმე ორიგინალური მომწამვლელი ნივთიერების შეტანა გვსურდა. დარბაზში, სადაც ჩვენიანებიც იმყოფებიან, საწამლავს ან ბომბს შევიტანდით?“ — განაცხადა სარიშვილმა.

„სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სასამართლო პროცესი საგანგებოდ დანიშნეს, თოფურიამ შვილებთან შეხვედრა რომ ვერ მოახერხოს. პროცესი დახურულია, საღამოს კი ციხეში ოჯახის წევრები არ დაიშვებიან“, — აღნიშნა „იმედის“ ლიდერმა.

## ვინ ერჩის შვილმოკლულ დედას?

შვილმოკლულ დედას მკვლელის ახლობლები ავიწროვებენ.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ქუთაისის ბიუროს დახმარებისთვის 2002 წელს ბაღდათის რაიონში მოკლული 23 წლის რეზიკო კახიანის დედამ მიმოზა კახიანმა მიმართა.

როგორც მან ცენტრის წარმომადგენლებს განუცხადა, მკვლელობის შემდეგ მუდმივ დევნასა და შევიწროვებას განიცდის. ამის მიზეზი კი, მისივე თქმით, ისაა, რომ შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დავით მიქაბერიძის, მეტსახელად „ძროხას“ დასჯას ითხოვს.

კახიანმა „ადამიანის უფლებათა ცენტრს“ გასულ კვირას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართული მიქაბერიძის პროცესის შემდეგ მიმართა. ცენტრის ცნობით, პროცესზე სასამართლოს სხდომის დარბაზი მკვლელის ახლობლებითა და გულშემატკივრებით იყო სავსე. ისინი შვილმკვდარ დედას მოურიდებლად ემუქრებოდნენ და აცხადებდნენ, რომ კახიანი შეიარაღებული იყო და სასამართლო პროცესზე განსასჯელის მოკვლას გეგმავდა.

ცენტრის ინფორმაციით, მოსამართლე თემურ სიხარულიძემ მიმოზა კახიანი პროცესიდან გააძევა და მოგვიანებით სასამართლოს შენობაც დაატოვებინა. ამის შემდეგ იგი რამდენიმე საათის განმავლობაში ღია ცის ქვეშ, წვიმასა და სიცივეში ელოდა ერთადერთი შვილის მკვლელის განაჩენს.

„რეზიკო კახიანის მკვლელობიდან რამდენიმე ხანის შემდეგ მის დედაზე თავდასხმა განხორციელდა, რომლის შედეგადაც იგი დაინვალიდდა და სახლიდან გასვლას თითქმის ველარ ახერხებს“, — აცხადებენ „ადამიანის უფლებათა ცენტრში“.

ინტერპრესნიუსი

№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

◎ რადიკალური ოპოზიცია

# სად გაქრა ხალხის მთავრობა?

(მესამე გვერდიდან)

**— მერაბ ანთაძე ხომ მუშაობს?**

— თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად? სააკაშვილთან ვერავინ იმუშავებს იმ ადამიანთა გარდა, რომელთაც შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა და უმაღლესი ხელისუფლების მოსაზრებებს დაუპირისპირდნენ. მაგრამ ასეთ ადამიანებს იქ ვერ ვხედავ. იქ ყველანი მხოლოდ მსახურები არიან.

მე ხელისუფლებაში ყოფნისას მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რაც მართებულად მიმაჩნდა, არც სააკაშვილის და არც პატრიაშვილის აზრი არ მაინტერესებდა. ბუნებრივია, ეს საკითხები განიხილებოდა, მაგრამ მათზე ზედაპირულ თანხმობას ვილებდით, რადგან სააკაშვილი ერთ ფურცელზე მეტს არ კითხულობს. ამიტომ ჩვენც, რაც საჭიროდ მიგვაჩნდა, იმას ვაკეთებდით და ყოველ სიტყვაზეც მე ვარ პასუხისმგებელი.

კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით წინსვლას ვერ ვხედავ, გარდა რაღაც მოგონილი „ზემო აფხაზეთისა“. ტაშისა და გუნდრუკის კმევა არ მთავრდება. საზოგადოებამ დღემდე ვერ გაყო ერთმანეთისგან ნათქვამი და გაკეთებული.

**— სანაკოევის ფენომენმაც უარყოფითად განგაწყოთ?**

— სანაკოევი არახალია... იგივე კოკოითია, ოღონდ პროქართული. კოკოითი იქ რუსებმა დასვეს, მაგრამ სანაკოევისგან განსხვავებით, იგი აკონტროლებს ტერიტორიას. სანაკოევი კი ვერაფერს აკონტროლებს და არც არასდროს აკონტროლებდა... ქურთა და თამარაშენი სანაკოევის კი არა, იქაური მოსახლეობის სისხლის ფასადაა შენარჩუნებული. ეს არის ძალიან სახიფათო თამაში და სად მიგვიყვანს, ძნელი სათქმელია.

ასეთი პროექტების განხორციელება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა წინაპირობა, მყარი ფუნდამენტი და გათვლილი მომავალი აქვს. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში გათვლილი არაფერი არ არის.

ასე მხოლოდ მე არ ვფიქრობ. ამ ყველაფერზე ისიც მეტყველებს, რომ იმ არალეგიტიმური არჩევნების შემდეგ, როდესაც მთელი ქართველი მოსახლეობა აიძულეს, მასში მონაწილეობა მიეღო, პირველი ადამიანი, ვისაც პრეზიდენტი სააკაშვილი შეხვდა, სანაკოევი იყო.



სინამდვილეში, ქართველებმა მის შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ. თუ იცოდნენ, მხოლოდ ის, რომ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ ერთ-ერთ სამხედრო დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა. სანაკოევს იცნობდა მხოლოდ ცხინვალის რეგიონში ამ იდეის ავტორ-განმახორციელებელი, ანუ სპეცსამსახურების ვიწრო წრე, ხოლო ხალხმა მისი ამ წარსულის გარდა, არაფერი იცოდა სანაკოევზე.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ქართული მოსახლეობა და გორის მოსახლეობის ნაწილი ალფრთოვანებული ყოფილა, ისე ჰყვარებიათ სანაკოევი — ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი იმ ტერიტორიებს, რომლებსაც ისედაც ჩვენ ვაკონტროლებდით, ანუ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ორ მესამედს.

**— ნანობთ, რომ ამ ხელისუფლებაში იყავით?**

— არავითარ შემთხვევაში. მე ქართველი ხალხის მსახური ვარ და არა სააკაშვილის, სააკაშვილის მსახურია ნაცმოძრაობის უმრავლესობა, უნივერსიტეტებში — შტრეიხბრეკერები. ისინი არიან მისი მსახურები.

მოვა დრო, ამ ხელისუფლების უკლებლივ ყველა წევრი სასამართლოს წინაშე წარსდგება, მათ შორის მეც. ზოგს სასამართლო დარბაზიდანვე გაათავისუფლებენ, ზოგიც ხანგრძლივი დროით წავა ციხეში. მაგრამ ამ ხელისუფლების ყველა წევრი, ჩემი ჩათვლით, აუცილებლად პასუხს აგებს. ამაში ეჭვიც არ მეპარება.

დარწმუნებული ვარ, შევძლებ ნამდვილ სასამართლოს, რომელიც ამ ქვეყანაში აუცილებლად იქნება, დავუსაბუთო, რატომ ვიყავი ამ ხელისუფლებაში. ვიმედოვნებ, ქართველი ხალხი და მართლმსაჯულება გამამართლებს.

ესაუბრა

თამარ შაიშმელაშვილი

# კულტურა

● **ბიბლიოთეკის შეკეთება-რესტავრაციისათვის უნდა შემუშავდეს ერთიანი, კომპლექსური, კვალიფიციური პროექტი, რომლის საქმის კურსშიც იქნება ქართული საზოგადოებრიობა და ქართველ მეცნიერთა წარმომადგენლობა**



## ◎ „ვარდების რევოლუცია“ ეროვნულ ბიბლიოთეკაში

***2007 წლის 13 მარტს „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეამ“ გამართა სრულიად საქართველოს მუდმივმოქმედი ქართველოლოგიური სიმპოზიუმის პირველი სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც დააყენა: ქართველთმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, წინ წამოწევის აუცილებლობა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში. ამავდროულად, ამ მნიშვნელობის შუქზე, ქართველოლოგიური სიმპოზიუმის წარმომადგენლობამ საზოგადოებას გაუზიარა ანალიტიკური ხედვა და აზრი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების მიმდინარე და მოსალოდნელ პოლიტიკურ-ტენდენციურ-რეორგანიზაციულ პროცესებზე, რომელთა შედეგებზე პასუხისმგებლობაც საზოგადოებრივი თვალისთვის ისეთივე აბსტრაქტულ და გაურკვეველ სივრცეში აღმოჩნდა გადატანილი, როგორც პასუხისმგებლობა — უკვე განხორციელებული, სრულიად სახელმწიფოებრივი რეფორმების შედეგებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში.***

## ვინ არის პასუხისმგებელი ქართველოლოგიური უნიკალური წიგნადი ფონდის უსაფრთხოებასა და ხელშეუხებლობაზე?

სხდომამ შეიმუშავა პოზიციები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი მიმართვის ტექსტისათვის „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეისა“, სრულიად საქართველოს მუდმივმოქმედი ქართველოლოგიური სიმპოზიუმისა და ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა სახელით, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:

ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეფორმების კვალდაკვალ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ამჟამად საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაში მყოფი ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის რეფორმისა და რეორგანიზაციის საკითხი.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (ა. ლომაიაძ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (გ. არველაძეძ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ა. ალექსიშვილიძ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება“



— ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 თებერვლის, ბრძანებულებაში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეორგანიზაციის შესახებ“ მეორე დღესვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბურჯანაძემ ხელი მოაწერა ბრძანებას — საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების, საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკის რეორგანიზაციის ამ საკანონმდებლო საფუძველს — პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებულებებს — სულ 3-4 დღით უსწრებდა სრულიად საქართველოს მუდმივმოქმედი ქართველოლოგიური სიმპოზიუმის წარმომადგენელთა ღია წერილი-მომართვა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი, რომელიც გარკვეული შედეგი იყო იმ შეშფოთებისა, რომელსაც ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიურ განყოფილებაში 2007 წლის იანვარ-თებერვალში განვითარებული მოვლენები იწვევდნენ მკითხველთა აღქმაში.

„საქართველოს ხელისუფლება **დგამს ნაბიჯს, გააუქმოს ქართველთმცოდნეობა, ანუ მეცნიერება ქართველი ერისა და საქართველოს შესახებ და ქართველ მეცნიერებს წაართვას ქართველოლოგიური დარბაზი, რისთვისაც ამჯერად ქართველი ხალხის უმთავრესი დოკუმენტური საგანძური — ქართველოლოგიური წიგნადი ფონდი უნდა განაზავოს ერთიან საბიბლიოთეკო საცავებში.**

პრობლემის გამჭვირვალობისათვის მკითხველს შევახსენოთ, რომ საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაში მყოფი ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მფლობელობაში სამი ძირითადი კორპუსია, რომელთაგან მესამეში (ფინანსთა სამინისტროს ყოფილ შენობაშიძ, ქართველოლოგიის განყოფილებაა განთავსებული თავისი ძირითადი წიგნების ფონდით, საბიბლიოთეკო სამსახურით და მკითხველთა დარბაზით.

ქართველ მეცნიერთა და მკითხველთა და ასევე ფართო საზოგადოებრიობის შეშფოთებას აძლიერებს არა მხოლოდ გაურკვევლობა ეროვნული ბიბლიოთეკის ამჟამინდელი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებისა, რომ კორპუსის შეკეთებას 2-3 წელი შეიძლება დასჭირდეს და ქართველოლოგიური ფონდი მისთვის მიკუთვნებული მესამე კორპუსიდან 2-3 წლით უნდა გადასახლდეს პირველი და მეორე კორპუსის საცავებში, არამედ ის გარემოებაც, რომ საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაში მყოფი **ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რეფორმა იწყება სწორედ იმ კორპუსის გარემონტებით, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის გასარემონტებელი ბიბლიოთეკის პირველ და მეორე კორპუსთან შედარებით.**

**ბიბლიოთეკის პირველადი შენობა — ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, სადაცაა დაინგრევა: აულაგმავი მიწისქვეშა წყლები დღეს თუ არა ხვალ მას ბოლოს მოუღებენ, კიდევ კარგი, ავარიულ ანაზდეულ ჩამონგრევებს აქამდე ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია., როდის ჩაწვება მორყეული კედლები და ამორტიზებული სტელაჟები კაცმა არ იცის. ფონდები ისეა გადატვირთული, ყველა შესაძლებლობის ზღვარს შორდება. წიგნის შენახვა-დაუნჯების ელემენტარული პირობები არ არის დაცული. არსებული შენობები წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ვეღარ იტევენ. სახელდახელო საცავები ქალაქში სხვადასხვა ადგილასაა სახელდახელოდ გამონახული და ასეთ პირობებში ბიბლიოთეკის სასიცოცხლო ფართობს უცხოელებს ვუთმობთ. ასეთივე მდგომარეობაა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში აი, ამ კორპუსებში უნდა გადასახლდეს 2-3 წლით ქართველოლოგიური ფონდები.**

**გარდა ამისა, ისევე როგორც განათლებისა და მეცნიერების დაწესებულებათა რეფორმა წარიმართა ხელისუფლების მიერ დაწესებულების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ინსტიტუტის შექმნით და სპეციალისტთაგან შექმნილი კომისიების უგულებელყოფით, საბიბლიოთეკო რეფორმასაც არ უჩანს არანაირი კომისია, რომელიც კვალიფიცირებულ მეცნიერ-სპეციალისტთა, ბიბლიოთეკათმცოდნეთა და საზოგადოების დამსახურებულ წარმომადგენელთაგან იქნებოდა შემდგარი და გამჭვირვალეს გახდიდა ყველა რეფორმატორული ღონისძიების ობიექტურ აუცილებლობას.**

საქართველოს ხელისუფლების მიერ რეფორმების ერთპიროვნული წესით წარმართვაში, ქვეყანაში გატარებული ერთიანი რეფორმატორული პოლიტიკის კონტექსტში, სრულიად ლოგიკურად იბადება კითხვა საქართველოს უნიკალური ქართველოლოგიური წიგნადი ფონდის, როგორც საკუთარი ინდივიდუალობისა და საკუთარი პროფილის მატარებელი წიგნადი ფონდის სამომავლო არსებობის შესახებ. მაშინ როდესაც ორი აზრი არა გვაქვს იმაში, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიურ განყოფილებას ესაჭიროება გაფართოება, დახვეწა და სრულყოფა, რომ დასანერგია ახალი მმართველობითი ტექნოლოგიები, რომ ახალი ტექნიკური შესაძლებლობებით მოსაძებნია გზა ახალი პირების შექმნისა და გადასარჩენია მთელი მე-19 საუკუნის პერიოდიკა, რომელიც უნიკალური წყაროა საქართველოს ისტორიისა და ყოფის, რომ წარმოსაჩენია და შესაძენია ევროპული ქართველოლოგიის უამრავი, ფუნდამენტური მნიშვნელობის ნაშრომი, რომ **ქართველოლოგიის განყოფილება, როგორც ბირთვული ნაწილი კავკასიისმცოდნეობისა, ყოველმხრივ საჭიროებს ახალი საკოორდინაციო დანაყოფების შექმნას და ა.შ.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ამ საგანგებო ფონდში თავმოყრილია ორი საუკუნის ინტელექტუალური ნაშრომი ქართველთმცოდნეობისა და კავკასიის ხალხთა შესახებ, რომელთაგან შესაძლოა სულ უჩინარმა წიგნმა, ან პატარა ბროშურამ, ან ერთმა ეთნოგრაფიულმა ჩანაწერმა უდიდეს საიდუმლოსთან მიგვიყვანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკის ეს უნიკალური წიგნადი ფონდი სრულიად შეუცვლელი და ერთადერთია არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მსოფლიოში. უნიკალური საგანძურია კაცობრიობის ისტორიისა და ქართველი ერის შემსწავლელი მსოფლიოს მეცნიერებისათვის, ფონდი, რომლის მნიშვნელობა, თუ კი კაცობრიობის ცხოვრება წარიმართება მშვიდობიანი გზით, კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში.

საერთაშორისო საბიბლიოთეკო მომსახურების პრაქტიკიდან თუ ამოვალთ მაგალითისათვის უპრიანია ნიუ-იორკის ეროვნული ბიბლიოთეკა გავიხსენოთ, სადაც მუშაობა აწყობილია **მსოფლიოს მონაკვეთებად დაყოფილ**, ცალკეულ დარგობრივ დარბაზებში: სლავისტიკის, ებრაისტიკისა და ა.შ.

დასამალი არ არის: საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მთელი საზოგადოების თვალწინ „ყველაფრის გაყიდვის გაცხადებული პრინციპით ვითარდება“ და საქართველოს უმაღლესი განათლების „წარმატებული რეფორმა“, რომელიც როგორც ამბობენ, თბილისის უნივერსიტეტის კორპუსის გაყიდვით შეიძლება „დაგვირგვინდეს“, სრულიად **ლოგიკურად ბადებს ახალი საშიშროების ვარაუდს, რომ ქართველოლოგიის განყოფილების გადასახლება და მესამე კორპუსის 2-3 წლით გამოთავისუფლება „გარემონტება-რესტავრაციის“ საბაბით, ნიადაგის მომზადებას წარმოადგენს ამ კორპუსის გაყიდვისათვის.**

დღეს ხომ არავის აინტერესებს ქართული სახელმწიფოებრიობის მოწყობისათვის ქართველოლოგიური საფუძვლების შემეცნება, ის რომ, თუ შენი ქვეყანა და მისი ღირებულებები შემეცნებული არა გაქვს, ვერც მისი ინტერესების შესაბამის სახელმწიფოს შექმნი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეშფოთება და განგაში ქართული მეცნიერების და ქართველთმცოდნეობის საბიბლიოთეკო ფონდის პერსპექტივის მისი შესაძლო გადასახლება-გადმოსახლებისა და საერთო საბიბლიოთეკო წიაღში, მისი ინდივიდუალური სახის ჩაძირვის გამო, სერიოზულ საფუძველზეა აღმოცენებული. ეს საფუძველი გახლავთ ყველაზე საშიში და ყველაზე საგანგაშო რეალობა — საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოს იდეოლოგია, რომელიც ქართველი ხალხის მიერ სათანადოდ გაცნობიერებული არ არის.

**ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის გარემონტება თავისუფლად შეიძლება ქართველოლოგიური წიგნადი ფონდის გადასახლებისა და სამკითხველო დარბაზის 2-3 წლით დახურვის გარეშე. ამას გონიერება, პროფესიონალიზმი და ეროვნული ფუნდამენტური ღირებულებებისადმი მოკრძალების გრძნობა სჭირდება მხოლოდ.**

**ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა ხალხს ეკუთვნის და არა სახელმწიფო ნომენკლატურას. არავის არა აქვს უფლება, თუნდაც სახელმწიფო ნომენკლატურიდან დანიშნულ პირს, თავისი ერთპიროვნული წარმოსახვით მართოს ეროვნული საგანძური, როგორც ერთპიროვნული საკუთრება.**

ვიმეორებ, **ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის შეკეთებას სრულიად არ სჭირდება ქართველოლოგიური წიგნადი ფონდის გადასახლება სხვა კორპუსების საცავებში, თუ ეს გადასახლება თვითმიზანი არ არის!** ჩვენმა სასიქადულო ქველმოქმედმა ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა,** რომელიც სახელდება ბიბლიოთეკის ერთ-ერთ მეცენატად, დარწმუნებული ვართ **არც იცის,** რომ ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის შეკეთება-რესტავრაციის მოტივით ქართველი ხალხის უნიკალური საგანძურის — ქართველოლოგიური წიგნადი ფონდის დამოუკიდებელი არსებობა რეალურად ვარდება საფრთხეში.

**ბიბლიოთეკის შეკეთება-რესტავრაციისათვის უნდა შემუშავდეს ერთიანი, კომპლექსური, კვალიფიციური პროექტი, რომლის საქმის კურსშიც იქნება ქართული საზოგადოებრიობა და ქართველ მეცნიერთა წარმომადგენლობა.**

**პროექტმა თავიდან უნდა აგვაცილოს, როგორც პერიოდული, ასევე წიგნადი ფონდის დარბევა და გადასახლება-გადმოსახლება ერთი კორპუსიდან მეორეში, რასაც არა ერთი გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი ზიანი შეიძლება მოჰყვეს.**

**იმედია ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის რეფორმა ასცდება იმ ანტიდემოკრატიულსა და დიქტატორულ გზას, რომელიც, სამწუხაროდ ვერ აიცილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.**

**დენიზა სუმბაძე, ლევან ფრუიძე, დამანა მელიქიშვილი, ზურაბ აბაშიძე, ოთარ გამყრელიძე, ჯემილა მესხია, თინა ცქიტიშვილი, თამარ მუმლაძე. ტარიელ სართანია, გიორგი ბაგრატიონი-ჯაფარიძე, ნელი მახარაძე, ლია ანდღულაძე, მანანა სტვილია, მარინე ჯიქია, მანანა გაბაშვილი, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ლეილა მირიანაშვილი, მანანა სოტკილავა, ზურაბ რატიანი.**

№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

# საქართველო არის ესე...

ცენტრის დაარსებიდან დღემდე გამოიცა მრავალი პერიოდული ჟურნალი, კრებული თუ სერიული სამეცნიერო ლიტერატურა. გამოქვეყნდა ცენტრის თანამშრომელთა ათასობით სამეცნიერო სტატია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ჟურნალებსა და კრებულებში. გამოიცა მრავალი წიგნი და მონოგრაფია



მეცნიერება

# როცა მიწა საიდუმლოს ხსნიან

## არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 30 წლისაა

**არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შექმნა მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. ის შეიძლება იმ დიდი მეცნიერული ინტერესების გამოხმაურებად ჩავთვალოთ, რომელიც უკვე XIX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგიდან არსებობდა მთლიანად კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ.**

არქეოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ მამულიშვილებს, როგორებიც იყვნენ დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ნიორაძე და ბევრი სხვა, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს არქეოლოგიური ძეგლების სისტემურ კვლევა-ძიებასა და ხელი შეუწყვეს არქეოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებას.

უკვე XX საუკუნის 30-55-იანი წლებიდან იწყება მაკროარქეოლოგიური კვლევა-ძიება, რასაც მოჰყვა ბევრი უნიკალური ძეგლის აღმოჩენა. მათ მიმართ მეცნიერული ინტერესი დღესაც ისეთივე მაღალია, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში. ამ დროს გაითხარა თრიალეთის ყორღანები, სამთავრო, უფლისციხე, ურბნისი, სამადლო, ნასტაკისი, ციხიაგორა, ვანი და მრავალი სხვა.

ამ პერიოდს დაერთო ახალმშენებლობების ზონებში გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიონალი არქეოლოგების დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვდნენ. საქმისადმი ამგვარმა მიდგომამ დადებითი როლი შეასრულა როგორც ძეგლების დანგრევა-განადგურების შეჩერებაში, ასევე არქეოლოგიური არტეფაქტების დაგროვებასა და მათ მეცნიერულ გააზრებაში.

არქეოლოგიური ძეგლების არეალის ამგვარმა გაფართოებამ, კიდევ უფრო ცხადი გახადა სპეციალიზებული ცენტრის შექმნის აუცილებლობა, რომელიც კოორდინირებას გაუწევდა გეგმურ და ახალმშენებლობების საკითხებს, შემოიღებდა კვლევის ინოვაციურ მეთოდებს და ხელს შეუწყობდა ქართული არქეოლოგიის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გაყვანას. იმ პერიოდის მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო დაწესებულებებში უკვე ფართოდ გამოიყენებოდა ინტეგრირებული კვლევა, რის საფუძველზეც ხდებოდა არქეოლოგიური მასალის უფრო ზუსტი და ჭარბინფორმაციული დამუშავება.

70-იან წლებში აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დიდი ძალისხმევითა და თანამოაზრეთა მხარდაჭერით, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სახით შეიქმნა დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულება. დღევანდელი გადმოსახედიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად შორსმჭვრეტელი და მომგებიანი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება. სულ მოკლე დროში ქართული არქეოლოგიის მიღწევები გასცდა საქართველოს ფარგლებს, ხოლო კვლევის ახალი შედეგები შევიდა საერთაშორისო საინფორმაციო ქსელში.

დაარსების დღიდან ცენტრი სრული დატვირთვით ამუშავდა: საველე სამუშაოებმა ერთდროულად გაზარდა აღმოჩენები, ტრადიციული გახდა ბევრი ახალი წამოწყება. ძეგლების გათხრა, ფიქსაცია, მასალის შესწავლა, მსოფლიო სტანდარტების დონეზე მიმდინარეობდა. სამეცნიერო პუბლიკაციები იბეჭდებოდა რეიტინგულ ჟურნალებში, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ერთად იმართებოდა საერთაშორისო კონფერენციები, იბეჭდებოდა კრებულები, მონოგრაფიები, ახალგაზრდა კადრები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებოდა საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებში.

ცენტრის საორგანიზაციო და სამეცნიერო სტრუქტურა ისე ორგანულად იყო შერწყმული ერთმანეთში, რომ 1990-იანი წლების რეინტეგრაციულ პეიოდშიც კი ცენტრში არ შეწყვეტილა საველე-არქეოლოგიური ძიებანი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, სხვადასხვა დონის კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მოწყობა. რომ არა ბატონი ოთარ ლორთქიფანიძის ენერგია, თავდადება და პროფესიონალიზმი, ყოველივე ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

მართალია, ცენტრის სტრუქტურულმა წყობამ ტრანსფორმაცია განიცადა, მაგრამ სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებები არ დაუკარგავს. ეს არის ძველი ქვის ხანა, პრეისტორიული არქეოლოგია, ანტიკური და შუასაუკუნეების არქეოლოგია, კლასიკური არქეოლოგია, არქეოლოგიის თეორია და ინფორმატიკა, არქეოლოგიის ისტორია და ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, არქეოლოგიურ ძეგლთა დოკუმენტაცია და პუბლიკაცია, რესტავრაცია, ფიქსაცია და ლაბორატორიული მომსახურება. ცენტრის ძირითად დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს კომპლექსური — საკუთრივ არქეოლოგიური და ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევის შექმნა, რომელიც იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ დღესაც, ახალი მოთხოვნების მიუხედავად, არ კარგავს თავის აქტუალობას.

ცენტრში მაღალ დონეზეა შესრულებული სამეცნიერო კვლევები ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა თავდაპირველი განსახლება საქართველოსა და კავკასიაში, პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკა და სოციალური ორგანიზაცია, მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა-განვითარება, ქართველთა ეთნოგენეზი და არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური იდენტიფიკაცია, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია, ბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია, პირველი ქართული სახელმწიფოების (კოლხეთი, იბერია) კულტურა, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები, მათი ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაციებთან, შუა საუკუნეების ქალაქები, ნაქალაქარები, ნამოსახლარები, ციხეები, სამაროვნები, ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა, ისტორიულ-კულტურული ურთიერთობანი კავკასიის ხალხებთან, საქართველო და გარესამყარო. ინტერდისციპლინური კვლევის ლაბორატორია ახორციელებს არქეოლოგიური არტეფაქტების ქიმიურ-ტექნოლოგიურ გამოკვლევას, არქეოლოგიური ნივთების რესტავრაცია-კონსერვაციას, პალეობოტანიკური და პალინოლოგიურ კვლევას, მეზოლით-ენეოლითური კულტურების ქვის არტეფაქტების ტრასოლოგიასა და არქეოგეოფიზიკურ კვლევებს.

ხორციელდებოდა ერთობლივი საერთაშორისო-სამეცნიერო პროექტები: „ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელის ინტერდისციპლინარული კვლევა დმანისსა და მის მიდამოებში" (გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, აშშ); „ტროას პროექტი" დავით გარეჯის უდაბნოში ნაქალაქარი „ნაომარი გორა" ძვ.წ. II-I ათასწ. (გერმანიის ტიუბინგენის უნივერსიტეტი); გათხრები ქვემო ქართლში (არუხლოძ ბერლინის არქეოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთად, ქართული ქრისტიანული კულტურის წრის ძეგლების შესწავლა ჩრდილო კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან ერთად.

მნიშვნელოვანი გათხრები ჩატარდა ახალმშენებლობების ზონებში: ჟინვალის წყალსაცავი, კახეთის საირიგაციო სისტემა, მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ტრასა და ევროპა-აზიის შემაერთებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო კაბელის მშენებლობის ზონა.

ცენტრის არსებობის მანძილზე განხორციელდა საველე-არქეოლოგიური ექსპედიციები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალმშენებლობების გარდა, ცენტრის ექსპედიციები წლების განმავლობაში აწარმოებდნენ ფუნდამენტურ კვლევებს მნიშვნელოვან ძეგლებზე, რომლებიც კავკასიის არქეოლოგიის ეტალონურ ძეგლებად იქცნენ: ვანი, დმანისი, თბილისი, ნასტაკისი, ციხიაგორა და სხვა.

1977 წლიდან ცენტრში სისტემატურად იმართება სამეცნიერო სესიები: საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგები; „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო". ქრისტიანული არქეოლოგიისადმი მიძღვნილი კონფერენციები: „შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით"; საერთაშორისო კონფერენცია „არქეოლოგია XXI საუკუნეში: „წარსულის გამოცდილება და ახალი პერსპექტივები"; „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა" (თბილისი, ბაქო, ერევანი, მახაჩკალაძ, ტარდება პერიოდული საერთაშორისო სიმპოზიუმები; ვანის სახელით ცნობილი კლასიკური ხანის შავიზღვისპირეთის პრობლემები, რომელიც ცენტრის გარდაცვლილი... განსვენებული დირექტორის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ინიციატივით დაარსდა. „კავკასიის იბერია (ქართლის სამეფოძ და მისი მეზობლები აქემენიდურსა და პოსტაქემენიდურ ხანაში"; „პირველყოფილი ადამიანი ევროპის კარიბჭესთან" (დმანისი-თბილისიძ; „ირანისა და საქართველოს არქეოლოგიის პრობლემები". სიმპოზიუმი „კავკასია ევრაზიის ადრენეოლითების ხანის მატერიალურ კულტურათა სისტემაში" (თელავი-სიღნაღიძ. რეგულარულად იმართებოდა საბჭოს სხდომები, სემინარები, კოლოქვიუმები და არქეოლოგიური საუბრები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

ცენტრმა მოაწყო რამდენიმე საერთაშორისო გამოფენა: „ოქრომრავალი კოლხეთი" (იუნესკოს პროგრამით, საბერძნეთშიძ; „საქართველო. განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან" (ბოხუმი და ვისბადენიძ. მუდმივმოქმედი არქეოლოგიური გამოფენები მოეწყო ვანის, ფოთის, ბორჯომის, ბოლნისის, ზესტაფონის, ხაშურის მუზეუმებში. აგრეთვე გაიმართა დროებითი გამოფენები სამთავროზო, საერთაშორისო და რესპუბლიკურ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ცენტრის დაარსებიდან დღემდე გამოიცა მრავალი პერიოდული ჟურნალი, კრებული თუ სერიული სამეცნიერო ლიტერატურა. გამოქვეყნდა ცენტრის თანამშრომელთა ათასობით სამეცნიერო სტატია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ჟურნალებსა და კრებულებში. გამოიცა მრავალი წიგნი და მონოგრაფია.

1993 წლიდან არსებობდა ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭო ჯერ არქეოლოგია-ეთნოგრაფიის, შემდეგ არქეოლოგია-ნუმიზმატიკა-სფრაგისტიკის სპეციალობით. ამ ხნის განმავლობაში დაცულია მრავალი დისერტაცია, როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო.

ცენტრში მუშაობს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით და რეგულარულად ივსება სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების გაცვლითი ფონდის, შემოწირულობათა და შეკვეთა-გამოწერის საშუალებით.

ბევრი რამ შეიცვალა 30 წლის მანძილზე, მაგრამ ცენტრი, როგორც საქართველოს არქეოლოგიის სამეცნიერო და ინტერდისციპლინარული კვლევის დაწესებულება, დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და წარმატებით წარმოადგენს საქართველოს სამეცნიერო სახელს მსოფლიო სამეცნიერო ასპარეზზე.

XXI საუკუნის პოლიტიკურმა და ინფორმაციულმა რევოლუციამ არ დაუკარგა ცენტრს დამკვიდრებული მეცნიერული ტრადიციების ღირებულება. მე დარწმუნებული ვარ, რომ დროში გამოცდილი კვლევა-ძიების მეთოდი უფრო მეტად იქნება მორგებული დროით ნაკარნახევ პირობებს, რომელიც განაპირობებდა ჯერ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ბოლო ერთი წელი, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის, ხოლო დღეს უკვე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მაღალ რეიტინგს.

დარწმუნებული ვარ, რომ არსებულ პირობებში ცენტრსა და ეროვნულ მუზეუმს მთლიანად, ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი რეფორმის განსახორციელებლად. ოთარ ლორთქიფანიძის მიერ 1977 წელს დაარსებულმა არქეოლოგიურმა კვლევის ცენტრმა შეასრულა თავისი მისია. ჩვენი ქვეყნის და ქართული მეცნიერებისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში მან შეინარჩუნა მეცნიერული პოტენციალი და მე მჯერა, რომ ახალ პირობებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი ღირსეულად გააგრძელებს იმ ტრადიციებს, რასაც ამ 30 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი.




**ბესარიონ მაისურაძე,**
საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.


№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

**გრ. ლორთქიფანიძემ გააშიშვლა ერთმორწმუნე მეზობლის დამპყრობითი პოლიტიკა, გამოააშკარავა კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის ფორმები. მის „ფიქრებში" სწორადაა გადმოცემული ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების მამოძრავებელი ძალები**



ღვაწლი

# ერის ზნეობრივი გმირი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული თეოლოგიისა და ისტორიის კომისიის, გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოებისა და საზოგადოება „მემორიალის" გაერთიანებული ძალისხმევით ჩატარდა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, ბრძენი მოაზროვნის გრიგოლ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 125 და მოწამეობრივი სიკვდილიდან 70 წლისთავისადმი მოძღვნილი კონფერენცია.**

კონფერენცია გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ. შესავალი სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების თავმჯდომარემ პროფ. ელვერ კუპატაძემ; მოხსენება — „გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე" და ბრძოლა საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ" წაიკითხა პროფ. ალექსანდრე ბენდიანიშვილმა. გრიგოლ ლორთქიფანიძის ეროვნული კონცეფცია მსმენელებს გააცნო აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ნაფიქრ-ნააზრევისა და თეორიულ-პრაქტიკული ანტიბოლშევიკური საქმიანობის შესახებ სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, პროფესორებმა — გურამ ყორანაშვილმა, ალექსანდრე მუჯირმა, გურამ ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯანელიძემ, უჩა ბლუაშვილმა, გოგი გაჩეჩილაძემ, ვიქტორ ლორთქიფანიძემ, ლევან ფრუიძემ.

მოხსენებებსა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ საბჭოურ საპყრობილეში გამოკეტილი გრ. ლორთქიფანიძე საისტორიო ლიტერატურითა და წყაროებით ვერ სარგებლობდა. თავისი ძირითადი თხზულებისა და სხვა ნაშრომების წერის დროს მეხსიერებასა და ინტუიციას ეყრდნობოდა, მაგრამ მაინც ახერხებდა საქართველოს წარსულის, ისტორიული პროცესის მთლიანობაში აღქმა-შეფასებას და სამომავლო პერსპექტივებზეც გამოთქვამდა თავის აზრს.

ითქვა, რომ გრ. ლორთქიფანიძემ გააშიშვლა ერთმორწმუნე მეზობლის დამპყრობითი პოლიტიკა, გამოააშკარავა კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის ფორმები. მის „ფიქრებში" სწორადაა გადმოცემული ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების მამოძრავებელი ძალები. გრ. ლორთქიფანიძემ შეძლო ეპოქების მიხედვით ობიექტურად შეეფასებინა ბაგრატიონი უფლისწულების, თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და ხალხის როლი გამათავისუფლებელ მოძრაობაში, სწორად აეხსნა ადრე განცდილი მარცხისა და ბოლოს (1917-1921 წ.წ.) მოპოვებული გამარჯვების მიზეზები და ფაქტორები. აღინიშნა, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე ახლად აღორძინებული ქართული სახელმწიფოს მშენებელიც იყო და საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ხალხის მიერ მოპოვებული წარმატების აღმწერ-შემფასებელიც. მანვე ერთ-ერთმა პირველმა ამხილა საბჭოთა რუსეთის ჭეშმარიტი ბუნება, წითელი იმპერიალიზმის არსი.

მოხსენებასა და სიტყვებში აღინიშნა, რომ გრ. ლორთქიფანიძე არსებითად ერთ სიბრტყეზე აყენებდა მონარქიულ და საბჭოურ რუსეთს, მიაჩნდა, რომ მეორე ოდნავ შეცვლილი ფორმით აგრძელებდა და აღრმავებდა კოლონიზაცია-რუსიფიკაციის პოლიტიკას, რასაც ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა და გრიგოლ ლორთქიფანიძის, სხვა მის მსგავს პატრიოტთა მეთაურობით გააგრძელა ბრძოლა საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენისა და პიროვნების თავისუფლების დამკვიდრებისათვის.

მოხსენებასა და გამოსვლებში ის ფაქტიც გახმიანდა, რომ მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, გრ. ლორთქიფანიძე ბოლომდე იცავდა თავის პრინციპულ პოზიციას, უარს ამბობდა ბოლშევიკთა წინაშე კაპიტულაციაზე. ამხელდა ქართველ ბოლშევიკთა ანტიეროვნულ სულისკვეთებას, ბედავდა შენიშვნები მიეცა თვით ი. სტალინისთვისაც კი. მოითხოვა საბჭოური კონსტიტუციის დემოკრატიულ საწყისებზე ჩასწორება, ამიერკავკასიის ფედერაციის (ახალი ფორმით აღდგენილი სანამესტნიკოსძ) გაუქმება, საქართველოს რესპუბლიკის უშუალოდ შეყვანა სსრ კავშირის შემადგენლობაში და მისი სუვერენული უფლებების გაფართოება.

ერთი სიტყვით, მსმენელის წინაშე გრიგოლ ლორთქიფანიძე გამოიკვეთა როგორც გამოჩენილი პოლიტიკოსი, ბრძენი კაცი, თავისუფლებისათვის გაუტეხელი მებრძოლი, რომელიც გმირულად დაეცა უთანასწორო ბრძოლაში. სხდომის ტრიბუნიდან გაიჟღერა წინადადებამ, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძემ თავისი მაღალი ინტელექტით, ბრძნული აზრებით, მახვილი კალმით მოიპოვა სამარადისო ხსოვნა, მისი „ფიქრები", პოლიტიკური ანდერძი და სხვა ნაშრომები თანამედროვე ქართველ პოლიტიკოსთა სამაგიდო წიგნი უნდა იყოს. მასში ბევრ რამეს ისეთს ნახავენ, რომელთა გათვალისწინებით ადრინდელი შეცდომები შეიძლება გამოასწორონ და ახალი შეცდომები თავიდან აიცილონ. ითქვა, რომ სავსებით გამართლებული იქნება გრიგოლ ლორთქიფანიძისათვის საქართველოს ეროვნული გმირის წოდების მინიჭება.

ისტორიისა და გარდასულ გმირთა ხსოვნა ამაღლებს ზნეობას, ეროვნულ თვითშეგნებას, პატრიოტულ სულისკვეთებას. ეს თვისებები საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, უკეთესი მომავლის საფუძვლის ჩაყრისათვის, დღეს კიდევ უფრო აუცილებელია. მიზანშეწონილად გვეჩვენება ოფიციალურად დაკანონდეს ეროვნული გმირის წოდება, უნდა დამუშავდეს დებულება, რომელშიც აღინიშნება, თუ ვის და რა დამსახურებისთვის უნდა მიენიჭოს ეს წოდება. ჩვენმა პარლამენტმა ეროვნული გმირის წოდება უნდა მიანიჭოს ერის წინაშე განსაკუთრებით ღვაწლმოსილ პიროვნებებს, მათ შორის, ალბათ, ერთ-ერთი პირველი გრიგოლ ლორთქიფანიძე იქნება.

**სანდრო ალექსიძე**



ყველას თავისი აზრი აქვს

# ფრჩხილებჩიჩქნია პარლამენტარ ქალბატონზე, კობა დავითაშვილსა და ერის რჩეულთა მოვალეობაზე

**სამუდამოდ თუ არა, ძალზე დიდხანს არ დამავიწყდება 2006 წლის 28 თებერვალი, უხვთოვლიანი ზამთრის ბოლო დღე.**

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე თავისებური ანგარიშით წარსდგა შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რაც ძირითადად სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო ოპოზიციონერთა კატეგორიულმა მოთხოვნამ განაპირობა. დანაშაული დღემდე ბოლომდე არ არის გახსნილი, მასში წილი პოლიციის მაღალჩინოსნებს უდევთ.

დამაფიქრებელია. ამაზე ლაპარაკი კარგა ხანია მესმის ტელეკომპანია „იმედის" „ქრონიკებში". სხვა არხების ყურებამოსმენის საშუალება არა მაქვს — დედაქალაქიდან კარგა შორს ვცხოვრობ. და აი, ტელეოპერატორმა სხდომათა დარბაზში ასეთი მომენტი გამოიჭირა: ერთ-ერთი ქალბატონი, რა თქმა უნდა, დეპუტატი, ხალხის რჩეული, მისი მსახური, პაწაწკინტელა მაკრატლით ფრჩხილებს იკვნეტდა, იწმენდდა. აშკარა იყო, რაც იქ ხდებოდა, ფეხებზე ეკიდა.

უნებურად, და სრულიად სამართლიანად, მომეჯარა ფიქრი: იმ დარბაზში ხომ ჟურნალისტად საქართველოს უმაღლესი

**დაგვიანებული წერილი**

საბჭოს მრავალ სესიას დავსწრებივარ; შევხვედრივარ მეჩაიეს, მეღორეს, მესიმინდეს, მეციტრუსეს, მევენახეს, მწველავს, მექანიზატორს, მეფრინველეს, მწყემსს, ფაბრიკისა თუ ქარხნის მუშას, შრომის სამყაროს სხვა წარმომადგენლებს (ახლა ასეთების ჭაჭანება აღარ არის პარლამენტშიძ, მაგრამ წარმოუდგენელი იყო მეჩაიეს, მწველავს ან მეღორეს სხდომაზე ფრჩხილები მაკრატლით რომ ეჩიჩქნათ და ნარჩენი გაკრიალებულ დარბაზში „ეფრქვიათ". გაოგნებული შევყურებდი ამ სურათს.

მინდა ის ტელეოპერატორი შევაქო, ვინც ეს მომენტი აღბეჭდა. ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დეპუტატს ფრჩხილების საკვნეტ-საჩიჩქნი მაკრატელი კი არ უნდა სჭეროდა ხელში, არამედ ბლოკნოტი და კალამი, რათა მინისტრის ნათქვამიდან ზოგი რამ ჩაენიშნა, რათა შემდეგ გაეანალიზებინა, სწორი დასკვნა გაეკეთებინა და თავის სადეპუტატო მუშაობაში გამოეყენებინა.

უფრო გამაოგნებელი, შემაძრწუნებელი კი ის იყო, ფრჩხილებჩიჩქნია დეპუტატმა პაწაწინა მაკრატელი ასევე პაწაწინა ბუდეში რომ ჩადო, ხელჩანთაში ჩაუძახა და როცა ოპოზიციის ორივე ფრთა პროტესტის ნიშნად შესაშური ერთსულოვნებით გაიკრიფა დარბაზიდან, რადგან მინისტრის პასუხები არ მოეწონა, პირველი თუ არა, მეორე მაინც გავარდა კარში.

იმ პარლამენტარების საქციელი, რომლებმაც გველნაკბენივით დატოვეს ხალხის რჩეულთა საკრებულო, სრულიად უნებურად შევადარე იმ ჯარისკაცების ქმედებას, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ველიდან გარბიან.

ჭეშმარიტო მეომარო, ქველი მამულიშვილი ის არის, ვინც არანაირ სიტუაციაში არ მიატოვებს ბრძოლის ველს.

ნაცვლად იმისა, რომ დეპუტატებს, ხაზს ვუსვამ, ხალხის რჩეულებს, ბოლომდე მოესმინათ მინისტრისთვის და ერთად ეზრუნათ გამოსავლის მოსაძებნად, ფეხი დაკრეს და უკანმოუხედავად დატოვეს „ბრძოლის ველი".

ოპოზიციის ორივე ფრთის ასეთი ერთსულოვნების გამო, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გაოცება შესაშური ოსტატობით გვიჩვენა ტელეოპერატორმა.

ყოველივე ამან გამახსენა, მტკივნეულად აღმიდგინა თხუთმეტიოდე წლის წინათ იმავე დარბაზში ნანახი: კერძოდ, სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით სესიაზე სიტყვით გამოვიდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი ვ. დომუხოვსკი. მისი აზრი და პოზიცია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოეწონა.

უცბად დარბაზში ადგა დეპუტატი ავთანდილ მარგიანი, შესძახა, გყავდეთ ეგ თქვენი დომუხოვსკიო, და გასასვლელისკენ გაეშურა, დარბაზის კარი გაიჯახუნა და წავიდა. მას შემდეგ იგი სესიაზე არც გამოჩენილა. რამდენიმე თვის შემდეგ ზოგიერთი სხვა დეპუტატიც „გაქრა". მხოლოდ რამდენიმე მათგანი ამოუდგა მხარში პრეზიდენტს. სამოქალაქო ომი გაჩაღდა და პარლამენტის შენობაც ცეცხლის ალში გაეხვია. მაშინ იქ ვიმყოფებოდი, როგორც ჟურნალისტი. ნგრევა-ლეწვის, ხოცვა-ჟლეტის მეორე თუ მესამე დღეს ძლივს დავაღწიე თავი ალმოდებულ შენობას. ყველაზე უფრო ის მტანჯავს, რომ ეს იყო უგუნურების, შურ-ღვარძლის, ურთიერთგაუტანლობის უკიდეგანო ზეიმი, რამაც აურაცხელი ვნება მოუტანა ქართველ ერსა და მრავალტანჯულ დედასამშობლოს. იმ დღეებიდან დაიწყო საქართველოს ნგრევა!

მაგრამ პირველთქმულს მივუბრუნდეთ: მინისტრმა დემარშისტი პარლამენტარებისგან მიყენებული წყენის მიუხედავად, იმედიანად დაამთავრა სიტყვა და ელვისებურად დატოვა იქაურობა.

კვლავ თვალწინ მიდგას პარლამენტის სხდომათა დარბაზში ფრჩხილებჩიჩქნია დეპუტატი, სადეპუტატო ასპარეზიდან თავქუდმოგლეჯით გაქცეული ხალხის რჩეულები, და, მათ შორის, ჩემდა სამწუხაროდ, კობა დავითაშვილი!

რატომ და რისთვის ვამბობ ამას? აი, რატომ: მიუხედავად იმისა, რომ წინა არჩევნების დროს თბილისიდან კარგა შორს ვიყავი და დედაქალაქში ჩამოსვლა გამიჭირდა, მაინც ჩამოვედი, რადგან სხვაგან ხმის მიცემის უფლება არ მქონდა და ეს ხმა უყოყმანოდ მივეცი კობა დავითაშვილს, მის გუნდს — ახალგაზრდები არიან, ენერგიულები, პატრიოტები, მამულიშვილები ჩანან და, იქნებ, უშველონ დანგრეულ, უმოწყალოდ დაჭრილ-დაქუცმაცებულ საქართველოს-მეთქი...

იხ. 8 გვ.

# ყოფა

● საგანგაშოა, რომ მარტო მიმდინარე წელს სისასტიკით ჩადენილი დანაშაულები 40 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ ფაქტებს



◎ ყველას თავისი აზრი აქვს

## ფრჩხილებჩიჩქნია პარლამენტარ ქალბატონზე, კობა დავითაშვილსა და ერის რჩეულთა მოვალეობაზე

(მეშვიდე გვერდიდან)

კობა დავითაშვილი კი, ვისაც გულწრფელად ვენდე, ხმა მივეცი, პარლამენტში გზა დავულოცე, სხდომას დემონსტრაციულად ტოვებს და ქუჩაში გარბის. გამიკვირდა, ბატონო კობა, ძალიან გამიკვირდა!!!

ვის, ან რას გაურბოდით? ნუთუ ვერ ხედავდით, რომ ქუჩაში სირბილმა არ გაამართლა?! აქვე მინდა გავიხსენო თხუთმეტიოდე წლის წინათ ერთ-ერთი იაპონელი ჟურნალისტის ნათქვამი, ქართველებმა მიტინგების მოწყობა დიდებულად ისწავლეს, მაგრამ დამთავრება ვერაო!

ბატონო კობა! რადგან მაშინ ხმა მოგეცი, ვიმეორებ, თავს უფლებას ვაძლევ, სიმართლე გითხრა. ყველას აქვს უფლება, იყოს ოპოზიციონერი, ეს საჭიროც არის და აუცილებელიც, მაგრამ ყველაფერს აქვს ზომა-წონა. ხმები დადის, კობა ასეთი გაავებული იმიტომ არის, გენერალური პროკურორობა თუ მინისტრობა უნდოდა და, რადგან ვერ მიიღო, პრეზიდენტსა და მთავრობას ამიტომ უდგას კრიჭაშიო. თუ ასეა... სამწუხაროდ, საქართველოში ყველას პრეზიდენტობა და მინისტრობა უნდა!..

სახელგანთქმულ ინგლისელ მწერალს ჯონათან სვიფტს აქვს ნათქვამი: „ინგლისის პარლამენტის მთელი წლის ლაყბობას გლეხის ერთი წვეთი ოფლი მირჩევნია“. გულწრფელად მინდა, არ მომეცეს საშუალება მსგავსი რამ ვთქვა საქართველოს პარლამენტზე, მაგრამ...

ის იყო აქ დავსვი წერტილი, რომ ტელევიზორში ყური მოვკარი ნაცნობ ხმებს, ქუჩაში მიტინგზე, ფართომასშტაბიანი მანიფესტაციისკენ მოუწოდებდნენ ხალხს. „გადადგეს პრეზიდენტი! გადადგეს პარლამენტი!“ – და ეს მაშინ, როცა საქართველოსგან წაგლეჯილ მიწებზე მრავალი ჯურის მტერი სამხედრო ალლუმებს, საჯარისო, საბრძოლო წვრთნებს ატარებს, რომ კიდევ უფრო დაასუსტოს საქართველო.

სიმართლისა და კანონიერებისთვის ზრუნვის, ბრძოლის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი წესი და რიგი, მორალური, ზნეობრივი, ეთიკური ჩარჩოები, რის უგულებელყოფაც ვნების მეტს ვერაფერს მოიტანს. თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, ქუჩის პოლიტიკოსებმა ამ ყოფიდან, ამ ცხოვრებიდან, ამ ქვეყნიდან ქართველი ერის „გადადგომაც“ მოითხოვონ. ნაცვლად იმისა, რომ ხალხს, ადამიანებს საქმისკენ, შრომისკენ მოუწოდებდნენ, ფართომასშტაბიანი უსაქმურობისკენ ეძახიან. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის და მის წინა პერიოდში ერთადერთი ადამიანი, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი იყო, რომელიც საქმისაკენ, შრომისაკენ მოუწოდებდა მომიტინგეებს და მის ორგანიზატორებს, მაგრამ ვინ იყო გამგონი, სწორედ ამ გაუგონრობამაც შეასრულა გარკვეული როლი ეროვნული მთავრობისა და პრეზიდენტის დამხობა-განადგურებაში. გულწრფელად მინდა, დღევანდელ მიტინგებზე მოვიდე და შრომისკენ, საქმისკენ მოვუწოდო ყველა მონაწილეს, მაგრამ ვიცი, ქუჩის პოლიტიკით თავგაბრუებულნი ტალახის გუნდების სროლას დამიწყებენ და ვერ ვზედავ.

ბატონო კობა! ბოლოს იმის თქმა მინდა, რომ ქუჩის პოლიტიკის ეპოქა წარსულს ჩაბარდა. სჯობს, რაც შეიძლება მიზანსწრაფულად, მხნედ და ნიჭიერად იმოღვაწეო პარლამენტში და არა თავქუდმოგლეჯილი გარბოდე იქიდან, თან ემზადო მორიგი არჩევნებისთვის. ასე მოითხოვენ ცხოვრების ცივილიზებული წესები. შენი ამომრჩეველი რომ არ ვიყო, ამდენს ვერ შემოგბედავდი. ხომ ხედავ, ქუჩაში დაწყებულმა საქმემ ყოველთვის არ მოიტანა სასურველი შედეგი.

ალბათ გახსოვთ, აშშ-ის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში ჯორჯ ბუშმა თავის მოწინააღმდეგეს ხმათა რაოდენობის მხოლოდ ერთი პროცენტით აჯობა. დამარცხებულმა პირველმა მიულოცა გამარჯვება და წარმატება უსურვა. ასეთი რამ ჩვენთან რომ მომხდარიყო, მოწინააღმდეგენი ერთმანეთს დაჭამდნენ, არა მე გავიმარჯვე, არა, მეო. თუ ერთმანეთის მორიდება, პატივისცემა, ღირსების დაფასების უნარი არ გვექნება, ვერც საპარლამენტო და, მით უმეტეს, ვერც ქუჩის პოლიტიკა გვიშველის.

**შალვა გულუა**

*P. S. ბატონო კობა, ამის დაწერის მესამე დღეს წერილი რამდენიმე გაზეთის რედაქციაში მივიტანე. ერთგან 500 ლარი მომთხოვეს, მეორეგან – 400 და ა. შ. მთელი დღე რედაქციებში სიარულით გასავათებულმა დავტოვე თბილისი, განუზომლად შეწუხებულმა.*

*ძალიან დამაფიქრა, გული მატკინა იმან, რომ შენ პარლამენტი დატოვე. რატომ? როგორც ჩანს, ვერ გაუძელი ხალხისა და ქვეყნისთვის ბრძოლას. ვფიქრობ, ჩემზე ნაკლებად არ იცი, თუ ვინ, როგორი კაცი გაურბის ბრძოლის ველს! მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანას მრავალი ურთულესი, უმძიმესი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.*

*ისიც გავიგე, ამ ცოტა ხნის წინათ ახალი პარტია შეგიქმნია, „ხალხის პარტია“. ვინ უნდა გაყვეს იმას, ვინც ამომრჩევლის, ხალხის ნდობა ვერ ან არ გაამართლა?*

*როგორც ამომრჩეველს, სირცხვილი მწვავს! შენ ხომ ჩემთან ერთად ათიათასობით ამომრჩეველმა მოგცა ხმა?*

*ძლიერ მტკივა გული, იმედი რომ ვერ გაგვიმართლე. არადა, იმედი დიდი ძალაა. გამიგონია, იმედიანმა კაცმა ზღვა გასცურაო. უიმედო კი ღელეში ჩაიხრჩოო.*

*ქედს ვუხრი ყველას, ვინც იმედს გვინერგავს. ვწუხვარ, ჩემი რჩეული რომ ვერ იმსახურებს ამას.*

***შ. გ.***

◎ მართლმსაჯულება

## უკონტროლობა და დაუდევრობა სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების მიზეზია

*ეჭვგარეშეა, რომ ქვეყანაში შექმნილმა კრიმინოგენურმა ვითარებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. სპეციალისტთა მონაცემებით, დღევანდელი მდგომარეობა, ავადსახსენებელი „მხედრიონის“ ზეობის პერიოდსაც კი უკან იტოვებს. ექსპერტთა მოსაზრებით, ყოველივე ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობის, სამართალდამცავ სტრუქტურებში განუკითხაობისა და დაუსჯელობის გარემოს და, აქედან გამომდინარე, უკონტროლობისა და დაუდევრობის შედეგია. საგანგაშოა, რომ მარტო მიმდინარე წელს სისასტიკით ჩადენილი დანაშაულები 40 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ ფაქტებს.*

„ვარდებით“ მოსულმა ხელისუფლებამ წინამორბედისაგან დატოვებულის გაუქმება დაიწყო, თუმცა რევოლუციის წინა დღეებში ირწმუნებოდა, არსებულს უფრო გავაძლიერებ და დავხვეწავო. ჯერ გააუქმეს, შემდეგ კი შეზღუდულ უფლებებში აღადგინეს უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი. ყოველდღიურ თუ არა, პერიოდულ კონტროლს გარეშე დარჩნენ ქრონიკული ალკოჰოლიკები, ნარკომანები, ფსიქიურად დაავადებულები, სხვადასხვა ჯურის კრიმინალები და პოტენციური დამნაშავეები. ამის შედეგად საგრძნობლად იმატა მათ მიერ ჩადენილმა დანაშაულმა.

გორის რაიონის სოფელ ახრისში მცხოვრებ ნოდარ ჭილლაძეზე მეზობლების მხრიდან პოლიციას არაერთხელ ჰქონდა მიღებული შეტყობინება, ფსიქიურად ავადმყოფი და საზოგადოებისათვის საშიში პიროვნებააო. შეტყობინებებს რეაქცია არ მოჰყოლია.

მარტის დასაწყისში ჭილლაძემ სტუმრად დაპატიჟა თანასოფლელი მიხეილ საქუაშვილი, რომელიც ამის შემდეგ მთელი კვირა არ ჩანდა. საბოლოოდ პოლიციამ საქუაშვილის გვამი ჭილლაძის ავტოფარეხში იპოვა. გარდაცვლილს მოჭრილი ჰქონდა თავი, ცალი ფეხი და მარცხენა ხელის თითები. როგორც გამოძიებით გაირკვა, მკვლელმა და გარდაცვლილმა ერთად დალიეს, შემდეგ შეკამათდნენ... თუმცა პოლიციას არც უფიქრია, დაედგინა იმ თანამშრომლის ვინაობა და დაესაჯა ის, ვის კომპეტენციაშიც შედიოდა ფსიქიურად დაავადებულის მეზობლების განცხადებებზე რეაგირება.



ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ახალგაზრდა მთავრობამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მკურნალობა ფასიანი გახადა, ხოლო საავადმყოფოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარებები შეუწყვიტა. ასე დარჩნენ ყოველგვარ სამკურნალო საშუალებას მოკლებული, ფსიქიურად დაავადებული, საზოგადოებისათვის საშიში პიროვნებები ბედის ანაბარად.

კასპელი ვაჟა სეთურიძე ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეა, სადაც იგი ფსიქიურად დაავადდა. წინა ხელისუფლების დროს მას მედიკამენტების სახით მიზერულად დახმარებას უწევდნენ. ყვავილებით მოსულებმა ესეც შეუწყვიტეს. სეთურიძე ოჯახს ორჯერ ჰყავდა ფსიქიატრიულში სამკურნალოდ დაწვენილი. მკურნალობა უსახსრობის გამო მხოლოდ რამდენიმედღიანი გამოდგა.

ორი თვის წინათ 71 წლის ლილი მერებაშვილის გვამი მისსავე ეზოში იპოვეს. პოლიციას თავდაპირველად ეჭვი სეთურიძეზე არ აუღია, რადგანაც იგი მეზობელს სამეურნეო საქმეებში ეხმარებოდა. რამდენიმე დღეში თვით ფსიქიურად დაავადებულის ოჯახის წევრებმა წარადგინეს პოლიციაში სახლში ნაპოვნი მოხუცი ქალბატონის სისხლიანი ლაბადა და წინსაფარი.

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, როდესაც შსს-ს ნაჩქარევად, მოუმზადებლად გამოჰყვეს სასჯელის აღსრულების დეპარტამენტი და იუსტიციის სამინისტროს გადასცეს, აშკარად გაწყდა კონტაქტები ამ ორ უწყებას შორის. განსაკუთრებით ეს თვალშისაცემი გახდა ყოფილ მსჯავრდებულთა განთავისუფლების შემდგომ შსსსათვის ინფორმაციების მიწოდების (პირველ რიგში მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებულთა მიმართ), მათი ქცევების ხასიათში ცვლილებების შესახებ და ა.შ. ამჟამად ამ კუთხით მდგომარეობა მთლიანად ქაოტურია. მიუხედავად ორი უწყების პირველ პირთა სიახლოვისა და მეგობრობისა, განთავისუფლებულთა უმეტესობა შსსში შეტყობინებაც არ მიდის. თუმცა, რომც მიდიოდეს, პოლიცია მათზე კონტროლით თავს დიდად არ იწუხებს. ამის გამო ყოფილი კრიმინალები თავისუფლად გადაადგილდებიან მთელი ქვეყნის მასშტაბით, ძნიან დაჯგუფებებს, სჩადიან უმძიმეს დანაშაულებს. მათზე კი ოპერატიულ თანამშრომლებს არათუ ინფორმაციები არა აქვთ, ეჭვის აღებაც კი უჭირთ.

2004 წელს მიხეილ აზალაძემ მხეცურად მოკლა გია ბრატულიჩი. თუმცა ცოტა ხანში რაღაც მანქანებით მოახერხა გამოტანილი განაჩენის შერბილება და საპყრობილიდან განთავისუფლებაც. მუდმივი საცხოვრებლის არ მქონე აზალაძე ჩანტლაძის ქუჩაზე დასახლდა. მასთან საეჭვო რეპუტაციის პროვნებები იყრიდნენ თავს. მიუხედავად ამისა, მეზობლებს ეშინოდათ პოლიციისათვის შეტყობინება. ერთ-ერთი მეზობლის (გვარის დასახელებისაგან თავის შეკავება გვთხოვაძ განმარტებით – „მე რა ვიცი პოლიციასთან რომ არ იყო შეკრული, ასე რომ არ ყოფილიყო, იმ ბუნაგს ვერ მოაწყობდა“ – ო.

მარტის ბოლოს, აზალაძეს თავის სახლში სტუმრად მყოფ ვასილ მეცხვარიაშვილთან საქმის გარჩევის დროს კონფლიქტი მოუვიდა და გულში ორჯერ დანის დარტყმით მოკლა იგი. კვალის დაფარვის მიზნით მკვლელმა გვამი ერთ-ერთი კორპუსის ეზოში ჩაათრია, მოკვეთა თავი, ხელი და დარჩენილ სხეულს ცეცხლი წაუკიდა.

მკვლელობის გახსნა პოლიციამ სრულიად შემთხვევით მოახერხა (არ სახელდება როგორძ.

**ზაზა ბილიხოძე**

№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

# ჩვენ

ბევრი აფხაზია რუსეთში გადახვეწილი, ზოგმა ოჯახიც შექმნა, საქორწინო სუფრასთან გვერდიგვერდ სხედან ქართველები და აფხაზები. ადამიანებმა უნდა აღადგინონ ადრინდელი ნორმალური ურთიერთობა. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთი ძირის შთამომავალნი



◎ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

# გაგრელები

**...გაგრელებს ახსოვთ, წვიმის შემდეგ გაგრაში ცოტა ქარი რომ იცის ხოლმე. როგორ ამოწყვიტეს ქართველები ისიც ახსოვთ... დევნილი ქალის ბედზე ტირის დღეს გაგრელი რიდი ჯოლოგუა. ამ ტრაგედიამ შეიწირა მისი არა ერთი „მუშკეტერი“ (რიდი ჯოლოგუა ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე გაგრის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ყოფილი დირექტორია).**

...სეპარატისტებმა მოკლეს აფხაზეთში ცნობილი მიშა ჯინჭარაძე, გაგრის მკვიდრი მოქალაქე, სამი შვილის მამა. რა ბრალი ედო? – არაფერი, იყო გამორჩეული ქართველი ვაჟკაცი.



...გაგრაში დაიღუპა ზურაბ კაჭარავა (როგორც რიდი ჯოლოგუა ამბობს, მას ხომ ბევრი მეგობარი ჰყავდა რუსი თუ აფხაზი).

...გაგრის მთებში დაიღუპა თემურ ხუნწარია.

...გაგრაში მოკლეს შუქრი ოჩიგავა, გაგრის განათლების განყოფილების გამგე ბიჭიკო ჩაკაბერია, ვახტანგ ჭელიძე, ვარლამ ქომეთიანი, სერგო გულორდავა, ნოდარ ჩარკვიანი.

...ფსოუს ხიდზე დატრიალებულმა ტრაგედიამ შეიწირა ომარ წარია.

...გაგრის ტრაგედიამ იმსხვერპლა ვალერი ფილია, ჯუმბერ ბეთაშვილი, ბუთხუზი ვაჩაძე, ედიკ კიუტი, ჯემალ და ტარიელ ლეკიაშვილები, სევერიან და ნინო წურწუმიები.

...გაგრაში, მის ხელში გაზრდილ „მუშკეტერებს“ მისტირის რიდი ჯოლოგუა (წარსულში საქართველოს ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში, ფარიკაობის ილეთებს ასწავლიდა გაგრელ ახალგაზრდებს): ჯონბა მეტრეველს, ვალერი ეგოროვს, თემურ მაღრაძეს, პაატა ფანიაშვილს, გურამ წარიას, ვოვა ფარულავას... მათი და სხვების სახელები ახსოვს ყველას, ვინც გუმისთასთან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა.

სოხუმელ თენგიზ ძაძამიას ოჯახს კარგად იცნობდა სოხუმის მე-4 სკოლის დირექტორი, დღეს თბილისის ხიზანი ნათელა ბოკუჩავა. ნათელას თვალწინ ჩაიარა აფხაზეთის ტრაგედიამ. თენგიზი კი ერთი ჩვეულებრივი საქართველოს სიყვარულით აღზრდილი ჭაბუკი იყო. ის აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე შეუერთდა ქართველ გვარდიელებს, რომელთაც მძიმე ტექნიკის პოზიციები სწორედ მის სახლთან ეკავათ. ტურბაზის ბიჭებთან ერთად მხარში ამოუდგა მოხალისეთა არმიას (სად იყო მაშინ ჯარი). მას, სწრაფსა და უშიშარს, ეშერაში და გუმისთასთან მებრძოლს ხედავდნენ. მისთვის საბედისწერო გახდა 20 სექტემბერი, გუმისთის პირას, როცა აქეთა მხარეს მყოფთ გაღმა განლაგებულ მოთარეშეთა ხმამაღალი ლაპარაკი ესმოდათ: იური ომანაძე და თენგიზ ძაძამია დავალებაზე წასულან. მოხერხებულ ადგილზე განლაგებული მოწინააღმდეგის ტყვია მიზანს არ სცდებოდა, იგი აქ სასიკვდილოდ დაიჭრა... ასმეთაური თენგიზ ძაძამია სიკვდილის შემდეგ, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისთვის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. თენგიზთან ერთად დაიღუპნენ ზემოკელასურელი გია შამუგია, გურჯი კოპალიანი, ბუთხუზ მატარაძე, მამუკა არონია, ბექან ბელქანია, დათო კოპალიანი და სხვები. კელასურელ რიტა ჩაკვეტაძეს (ერთხანს ჩვენთან რედაქციაში მუშაობდა). მამამისი სოხუმში მოკლეს, დედასთან და ძმებთან ერთად კოდორის ხეობით გამოაღწია სამშვიდობოს, ახსოვს, როგორ დაიტირეს სოხუმელებმა თენგიზ ძაძამია.

იქ დაღუპულ ქართველთა გვარ-სახელები თბილისში გმირთა მოედანზე აღმართულ მემორიალს შემორჩა... მათ შორისაა სოსო სიჭინავაც, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა მებრძოლმა, ნიჭიერმა ოფიცერმა, რაც არაერთხელ დაადასტურეს სამხედრო სამსახურში მისი ყოფნის პერიოდში. 1993 წლის 26 სექტემბერს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი ოპერაციის შესრულებისას 32 წლის ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა. გამოჩენილი გმირობისათვის იგი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა. დედებს კი სჯერათ აფხაზური ტრადიციის, მიცვალებულებისადმი მათი დიდი პატივისცემისა, რომ არ იქნება მათი შვილების საფლავები იავარქმნილი. მათ სჯერათ, რომ ქართველებთან ერთად ბევრი აფხაზი დაიღუპა, მათსავით ჩაიცვეს შავები, იქნებ არც ჩვენ და არც აფხაზების ბრალია ამ საშინელი ომის დაწყება?! ბევრი აფხაზია რუსეთში გადახვეწილი, ზოგმა ოჯახიც შექმნა, საქორწინო სუფრასთან გვერდიგვერდ სხედან ქართველები და აფხაზები. ადამიანებმა უნდა აღადგინონ ადრინდელი ნორმალური ურთიერთობა. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთი ძირის შთამომავალნი, რომელსაც ასე თავგამოდებით უარყოფენ რუსებს მინდობილნი ენადაკარგულნი. რომ არა ქართველნი, დღეს განა იარსებებდა აფხაზეთის ეთნოსი?!

ცხოვრება გრძელდება...

გაგრიდან ლტოლვილი გოჩა ოჩიგავა ახლა პრაღის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს. იგი საქართველოდან წაღებული ფოტოსურათებით აცნობს თავის ქვეყანას სასწავლებლად მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩამოსულთ. მოუთხრობს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე, კულტურულ და სამეცნიერო მიღწევებზე, მათ ქართულ სიმღერებთან ერთად აფხაზეთზე საკუთარ სიმღერასაც ასმენინებს...

– მიხარია, რომ ევროპის ამ ქალაქში ვსწავლობ, მაგრამ სადაც უნდა ვიყო საქართველოს ლამაზი კუთხე აფხაზეთი მიდგას თვალწინ. მას სჯერა, რომ მომავალში აფხაზეთში მოუწევს მუშაობა. ჩეხეთშია თუ თბილისში გოჩა, ის მუდამ თავის ქალაქშია, ხან ზღვის სანაპიროზე, ხან ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში რიდი ჯოლოგუას ხვდება... იქ სადაც თავს იყრიდნენ გაგრელი მოსწავლეები, მათი მშობლები, განურჩევლად ეროვნებისა. გოჩას სჯერა აფხაზებისა და ქართველების შერიგების, ქართველებს და აფხაზებს ერთად მოგვიწევს ცხოვრებაო. მონატრება კი ისე როგორც ყველა ლტოლვილს, გოჩასაც შეახსენებს გაგრაში თავის სახლს, საკუთარ ეზო-კარ-მიდამოს, სკოლას, ახსოვს დედის გაქვავებული სახე... თითქოს ხედავს როგორ ჩაეშვება მზე ზღვაში და დილაც ხომ თავისებური გაგრაში, რომელიც ჯერჯერობით უქართველოდ ილვიძებს.

– საოცარი მონატრება სცოდნია ზღვის სანაპიროს, სევდით დასძინეს რიდი ჯოლოგუამ, გოჩა ოჩიგავამ და სხვებმა ჩვენთან საუბრისას, არადა, როგორც ისინი ამბობენ, ორივეს – ქართველსაც და აფხაზსაც ეყოფა ზღვისპირეთის ჰაერი, ზღვა, მთა და მისი მინდორ-ველი... უნდა შევრიგდეთ!

**ნათელა ფაილოძე**

◎ რეპლიკა

# ავტობუსიდან „ღვთობუსამდე“

**პოპულარული ტელეჟურნალისტია დავით კიკალიშვილი („რუსთავი-2“), ჩვენი დათო, აი, სწორედ ის, ყოველ ნახევარ საათში „გაგუდული ხმით“ კვირადღის „P. S.“ (პოსტ-სკრიპტუმი) გადაცემის რეკლამას რომ ეწევა და დიდის ამბით (ანუ რიხით) გვამზადებს ხოლმე.**

ისე, ცოტა გასაკვირია, რად უნდათ ამდენი „ავტორეკლამა“ ტელეჟურნალისტებს, საკუთარი თავის – ასეთი ძვირფასის და საყვარელის – ამდენი ფერება, როცა ისედაც ყოველდღე ეკრანზე არიან და თავიანთი ფიზიონომიები ზეპირად, დეტალურად და ნაირ-ნაირი რაკურსით შევვასწავლეს? ნუთუ ძვირფასი (ძვირად ღირებული!) საეთერო დრო მაინც არ ენანებათ? თუმცა ეს ცალკე მსჯელობის საგანია...

დათო ვახსენე და თქვენც უთუოდ შეგხვდებოდათ ავტობუსზე უზარმაზარ პორტრეტად მოხატული, მისივე „P. S.“-ით. ეს არ გამკვირვებია, რადგან ავტობუსზე სარეკლამო სუბიექტების გარდასახვას გიგი უგულავას „გამერების“ წინ მიმარჩვიეს, როცა ქალაქში იმდენი „გიგიბუსი“ ააგორეს...

გახსოვთ „იგი დრო, საამო დრო“, როს რუსთაველის პროსპექტის გაყოლებით, ორივე მხარეს, ყოჩაღი რუსთაველორელების დიდრონი სურათები გაამწკრივეს, თითქოს ჰოლივუდელი ვარსკვლავები იყვნენ? მაშინ გონს მალე მოეგენ და ეგრევე წამოკრიფეს.

სამაგიეროდ ახლა, აგერ, „გაბუსება“ შემოვიდა მოდაში და ახლო ხანში, ალბათ, უნდა ველოდეთ „ავთობუსებს“, „ინგაბუსებს“, „ეკაბუსებს“, რა თქმა უნდა, გაორმაგებული მგზავრობის საფასურით. აპა რავა!..

...ღმერთო, შენ გადაგვარჩინე უსაზღვრო მატრაბაზობას, მარიაჟობას, პიარობას და ზომიერებას, ეკონომიურობას, მომჭირნეობას მიგვაჩვიე, ეგებ მაშინ მაინც დაგვადგეს საშველი...

**თამაზ ებანოიძე**



◎ აღიარება

## ქართველი მეცნიერი დავით ლორთქიფანიძე აშშ-ს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი გახდა

**აშშ-ს საელჩო საქართველოში სიამოვნებით იუწყება, რომ პროფესორი დავით ლორთქიფანიძე, ცნობილი პალეანთროპოლოგი და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, მეცნიერების განვითარებაში მისი განსაკუთრებული ღვაწლის გამო არჩეულია აშშ-ს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (The National Academy of Science of tfe United States of America) უცხოელ წევრად. აშშ-ს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობა მეცნიერისათვის უდიდესი პატივია.**

72 ამერიკელი და 18 უცხოელი წევრის არჩევის შესახებ აშშ-ს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ განცხადება 2007 წ. 1 მაისს, 144-ე ყოველწლიურ შეხვედრაზე გააკეთა. აკადემიას ამჟამად 2025 მოქმედი წევრი ჰყავს, მათ შორის ნობელის პრემიის 200 ლაურეატი და 387 უცხოელი წევრი.

აშშ-ს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დაყოფილია ექვს კლასად და 31 დისციპლინის შესაბამის სექციებად, რომლებიც სხვა დარგებთან ერთად მოიცავს ფიზიკას, მათემატიკას, ინჟინერიას, ბიომედიცინას, გარემოს დაცვას, საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებს, მათ შორის ანთროპოლოგიას. ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს შეუძლიათ სამეცნიერო ჟურნალს „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ნაშრომები“ თავიანთი სტატიები წარუდგინონ დასაბეჭდად. ეს ყოველკვირეული პუბლიკაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირად ციტირებული მულტიდისციპლინარული სამეცნიერო გამოცემაა. 1914 წლიდან დღემდე ჟურნალი აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აქვეყნებს უახლესი კვლევების შედეგებს, კომენტარებს, რეცენზიებსა და საკოლოქვიუმო ნაშრომებს.

№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● საქართველოს ხელისუფლება გამოთქვამს წინადადებას, რომ დროებითი ადმინისტრაციის წევრებმა მოახდინონ თავიანთი წარმომადგენლების დელეგირება საქართველოს სამინისტროებში, მათ შორის შინაგან საქმეთა, ეკონომიკური განვითარების, იუსტიციის, ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და სხვა სამინისტროებში, თანაც, ამ წარ



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

## სააკაშვილი: საქართველოს დისკრედიტაციისთვის ყოველწლიურად მილიარდი დოლარი იხარჯება

**„ვარდების რევოლუციის" მესამე წლისთავზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აჭარაში შეხვდა ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებს და უამბო მათ ქვეყნის მიღწევებზე, აგრეთვე იმ რისკის შესახებ, რომლის წინაშეც დგას საქართველო. „საქართველო აქამდე არასდროს ყოფილა ასეთი დამოუკიდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა ჩვენმა მთავარმა ეკონომიკურმა პარტნიორმა (იგულისხმება რუსეთი) გამოგვიცხადა აბსოლუტური ემბარგო, — თქვა პრეზიდენტმა. — ახლა ჩვენ ვცხოვრობთ აბსოლუტური ბლოკადისა და ემბარგოს პირობებში, მაგრამ ამის მიუხედავად, მე ბათუმში გავხსენი მშენებლობა, რომელშიც 100 მილიონზე მეტი ინვესტიციებია დაბანდებული — აქ აშენებენ შავი ზღვის სანაპიროზე საუკეთესო სასტუმროებს „შერატონს" და „რედისონს".**

სააკაშვილმა განმარტა, რომ ყოველივე ეს არ არის მხოლოდ მშენებლობა, რადგან იგი მნიშვნელოვნად გაზრდის დასაქმებული ადამიანების რიცხვს და, ბუნებრივია, მოუტანს კეთილდღეობას აჭარაში სულ ცოტა 2 ათას ოჯახს. როგორც მან თქვა, ბათუმში გაიხსნა ასევე ფარმაცევტული ქარხანა, რომელიც არ მოქმედებდა 1990 წლის შემდეგ.

ერთი დღის განმავლობაში ქალაქში ასევე გაიხსნა 18 რესტორანი, უახლოეს დღეებში კი ამოქმედდება ახალი სამკერვალო ფაბრიკა და ბათუმის აეროპორტი. პრეზიდენტის თქმით, სახელმწიფო არ ერევა ბიზნესის საქმეებში და „არ უჯდება მას წილში". „ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ ვინ არის დასაქმებული, — აღნიშნა სააკაშვილმა. — ხელისუფლება ბიზნესის განვითარებაში მხოლოდ იმით მონაწილეობს, რომ ქმნის შესაბამის პირობებს და გარანტიებს მეწარმეებისთვის".

**„თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ასობით მილიონი დოლარი და იქნებ, მილიარდზე მეტიც კი, ყოველწლიურად იხარჯება საქართველოს დისკრედიტაციისთვის",** — განუცხადა სტუდენტებს სააკაშვილმა. — მაგრამ ჩვენი არაკეთილმოსურნეების მთელი ამ ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო უკვე გაიცნეს როგორც პოზიტიური, დადებითი, და შეიძლება ითქვას, როგორც ლეგენდარული ქვეყანა". საქართველოს აქამდე არ ჰყოლია ამდენი მეგობარი და პარტნიორი, თქვა შემდეგ სააკაშვილმა.

**„ამავე დროს,** — განაცხადა პრეზიდენტმა, — **ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო დგას საშიში და სერიოზული რისკის წინაშე, ჩვენს ქვეყანას სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავს".** მაგრამ ამავე დროს, — აღნიშნა სააკაშვილმა — **„თუ საუკუნეების განმავლობაში ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო თავის გატანა და გადარჩენა, ახლა უნდა ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად".**

რაც შეეხება აჭარას, „დაწერილი იყო საქართველოს დაქუცმაცებისა და დაშლის სცენარი, „აჭარის სეპარატიზაციის" სცენარი. იგი შეადგინეს საქართველოს მტრებმა. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ეს სცენარი ვერ იმოქმედებს", — თქვა სააკაშვილმა.

РОСБАЛТ



## „ოსებს აქვთ იმის მიღების შანსი, რაც სურთ"

**საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ არავის აქვს საქართველოს დაქუცმაცების შანსი, და ქართველები, აფხაზები და ოსები უთუოდ იცხოვრებენ ერთიან სახელმწიფოში. ეს საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრის დროს.**

„ჩვენ გავედით ოს თანამემამულეებთან ურთიერთობის ძალზე საინტერესო ეტაპზე. ეთნიკურ ოსებს აქვთ იმის მიღების შანსი, რაც სურთ. არ არსებობს პრობლემები ეთნიკურ ოსებსა და დანარჩენ ქართველებს შორის. ეს არის ტერიტორიული პრობლემა გარეშე ძალებსა და დანარჩენ საქართველოს შორის", — თქვა მან.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება გამონახავს ისეთ მოდელს, რომლის პირობებში არავის უფლებები არ შეილახება ეთნიკური ან ლინგვისტური ნიშნით. „ჩვენ შევძლებთ საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების არა მარტო შენარჩუნებას, არამედ მის განვითარებასაც", — აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, საქართველო არასოდროს შეურიგდება იმას, რომ „ჩვენი ქვეყნის საზღვრები, თურმე გადის მდინარე ენგურზე, ხოლო ენგურს გაღმა კი ქართულ ეთნოს ცხოვრება არ შეუძლია. თურმე ჩვენ ამას უნდა შევეგუოთ, რადგან მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი განაწილება". როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, „საქართველო არავის ემუქრება, მაგრამ ძალზე დიდი უსამართლობაა ის, რომ 13 წლის წინ ქართველები, ესტონელები, ებრაელები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები განდევნეს აფხაზეთიდან და ახლა მათ სახლებში უცხო ადამიანები ცხოვრობენ".

სააკაშვილმა თქვა, რომ იგი შეხვდა დევნილებს ესტონეთსა და ისრაელში. ამ ადამიანებს საქართველო, აფხაზეთი თავიანთ სამშობლოდ მიაჩნიათ და სურთ იქ დაბრუნება იმის მიუხედავადაც კი, რომ მატერიალური თვალსაზრისით საკმაოდ კარგად გრძნობენ თავს ახალ ადგილებში. „ისინი აცხადებენ, რომ ბედნიერად ჩათვლიან თავს მაშინ, როცა საქართველოს სადღეგრძელოს სოხუმში შესვამენ", — თქვა სააკაშვილმა.

РОСБАЛТ


## შ.პ.ს. „საქართველოს საინვესტიციო სააგენტო" აცხადებს აუქციონს

**აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 8 ივნისს**

**1. აუქციონზე გამოტანილი იქნება შ.პ.ს. „საქართველოს საინვესტიციო სააგენტო"-ს ბალანსზე რიცხული ქონება შემდეგი საწყისი ფასებით:**

– მობ. ტელეფონი მოტოროლა ვ-70 – 200 ლარი;
– მობ. ტელეფონი მოტოროლა ვ-3690 – 75 ლარი;
– მინი ატეესი პანასონიკ 308 – 200 ლარი;
– ფაქსი პანასონიკი – 265 ლარი;
– ფაქსი პანასონიკი კი-ფ 230 ბიქ – 80 ლარი;
– პრინტერი HP LJ 1200 – 240 ლარი;
– მოდემი – 25 ლარი;
– რკინის კარი – 150 ლარი;
– ფოტოასლის გადამღები აპარატი – 200 ლარი;
– კომპიუტერი 11400 – 300 ლარი;
– კომპიუტერი სელერონ 500 – 250 ლარი;
– კომპიუტერი ტარგა – 300 ლარი;
– პრინტერი T-1200 – 100 ლარი;

გასაყიდი ქონება საზოგადოების ოფისში გამოიყენებოდა 1997-2002 წლების განმავლობაში;

**2. აუქციონში მონაწილეობისათვის საჭიროა ბილეთის შეძენა, რომლის ღირებულებაა –** 5 (ხუთი) ლარი;

**3. განცხადების და დამატებითი ინფორმაციის მიღების ადგილი და ვადა:**

– ქ. თბილისი, დოლიძის ქ.№2, ტელ: (+995 32) 33 14 41, 899 56 06 26;

– განცხადებები მიიღება ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან 2007 წლის 7 ივნისამდე; 12 საათიდან – 17 საათამდე ყოველდღე შაბათ კვირის გარდა. ამ ვადის გასვლის შემდეგ შემოტანილი განცხადებები არ მიიღება.

– აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა წინასწარ ამ განცხადებაში მოცემული რეკვიზიტების შესაბამისად „ბე"-ს და ბილეთის ღირებულების გადახდა. „ბე" შეადგენს გასაყიდი ქონების ღირებულების 10%-ს.

**4. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

– მონაწილეობის მსურველები წარმოადგენენ განცხადებას აუქციონში მონაწილეობის მიღების შესახებ (იურიდიული პირები განცხადებას წარმოადგენენ საკუთარ ბლანკზე, დამოწმებულს ბეჭდით, ასევე ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან);

– ბილეთის და „ბე"-ს ღირებულების გადახდის დამადასტურებელ ქვითრებს;

– აუქციონში მონაწილე პირმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ ის სხვა პირი(ებ)ს სახელით მოქმედებს;

**5. აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო:** 2007 წლის 8 ივნისი; ქ. თბილისი, დოლიძის ქ.№2, 18 საათი.

**6. შ.პ.ს. ,საქართველოს საინვესტიციო სააგენტო"-ს საბანკო რეკვიზიტები:**

– შ.პ.ს. „საქართველოს საინვესტიციო სააგენტო"-ს საბანკო რეკვიზიტები სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"-ს ვაკე-საბურთალოს ფილიალი, ა/ა №28113608, საიდენტიფიკაციო კოდი №203841806, ბანკის კოდი №220101670.

**7. საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები** – საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი არის სხვა მონაწილეებთან შედარებით უფრო მაღალი ღირებულების შეთავაზება, რომელიც აღემატება გამოცხადებულ საწყის ღირებულებას სულ მცირე ერთი ბიჯით. ბიჯი შეადგენს საწყისი ღირებულების 5%-ს.

**8. შენიშვნები:**

– გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე" ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;
– მონაწილეს, რომელიც ვერ გაიმარჯვებს აუქციონში, „ბე" უბრუნდება უკან;
– მონაწილეს, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა აუქციონში „ბე" არ უბრუნდება.
– გასაყიდი ქონების ყიდვა შეიძლება როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე;

**9. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია –** აუქციონის ჩატარებიდან 48 საათის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ შეძენილი ქონების ღირებულება („ბე"-ს გამოკლებით). იმ შემთხვევაში თუ გამაჯვებული პირი არ გადაიხდის ღირებულებას, აუქციონის შედეგები ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო გამარჯვებულ პირს „ბე" არ უბრუნდება.

● „ბოროტების იმპერიის“ უკანასკნელი „კომენდანტშა“ რაისა გორბაჩოვა, როგორც „ტელევარსკვლავი“, პოლიტიკაში ბევრს ერეოდა და თავის მეუღლეს რჩევებს აძლევდა



◎ გუშინდელნი

# „კრემლის ცოლები“ თუ „კრემლის კომენდანტშები“, ანუ პირველი ლედები?!

**ამას წინათ რუსეთის ტელეარხით „ნტვ“ პირველად აჩვენეს ფილმი, რომელსაც ეწოდებოდა „კრემლის ცოლები: ნინო ბერია, სატანაზე გათხოვილი“.**

ტელეგადაცემაში დიქტორთან ერთად მონაწილეობდნენ — ჟურნალისტი როი მედვედევი, მწერალი ლარისა ვასილიევა და მსახიობი ნინა ალექსეევა. თუ პირველი ორი ძალზე აგრესიულად და ღვარძლიანად იყვნენ განწყობილი ბერიასა და მისი მეუღლის მიმართ, მესამე თავაზიანად და ტრფიალით საუბრობდა.

ტელეგადაცემაში საუბრობდნენ რა ნინო გეგეჭკორზე, თქვეს, რომ იგი კარჩაკეტილ პირობებში ცხოვრობდა, რომ მას არ ჰყავდა მეგობრები, რომ ის მსახურობდა მეცნიერ მუშაკად მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში ნიადაგმცოდნეობის განხრით, რომ იგი დიდი გამოკვლევებით ვერ დაიკვეხნიდა, რომ იგი ხელის ჩანთით მუდმივად ატარებდა პისტოლეტს. არავის არ უთქვამს, თუ რატომ დააპატიმრეს 1953 წელს ნინო გეგეჭკორი და მისი ვაჟი სერგო. ერთადერთი ნინა ალექსეევა იყო, რომელიც აღფრთოვანებით და სიყვარულით იგონებდა ლავრენტი ბერიას, მასთან გატარებულ დღეებს და აღნიშნავდა, რომ იგი იყო ნამდვილი მამაკაცი, ფიზიკურად ძლიერი, ერუდირებული, ინტელექტუალური და ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება...

1991 წლის აგვისტოს დასაწყისში კიევში 87 წლის ასაკში გარდაიცვალა ნინო თეიმურაზის ასული გეგეჭკორი, საბჭოთა იმპერიის უშიშროების სამსახურის შეფის — ლავრენტი ბერიას ქვრივი. მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლები იცხოვრა და გაატარა კიევის გარეუბნის წყნარ, მყუდრო და მწვანეში ჩაფლულ ერთ-ერთ ქუჩაზე მდებარე ჩვეულებრივი „ხრუშჩოვკის“ ტიპის სახლის მეოთხე სართულის პატარა ბინაში. მას საშუალებაც კი არ მისცეს, რომ თავისი ცხოვრება მშობლიურ მარტვილში დაემთავრებინა... მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ ნინო გეგეჭკორი ლავრენტი ბერიას მეუღლე გახლდათ.

ნინო გეგეჭკორი, 1938-1953 წლებში თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში თავისი სილამაზით, სიმშვენიერით საბჭოეთის ერთ-ერთი პირველი ლედი გახლდათ. სხვებისაგან განსხვავებით, ის არასოდეს ჩარეულა თავისი ყოვლისშემძლე ქმრის სამსახურებრივ თუ სხვა პოლიტიკურ და ოფიციალურ საქმიანობაში, მონაწილეობა არ მიუღია შეხვედრებში და საუბრებში, ის არასოდეს ხლებია თავის მეუღლეს საზღვარგარეთ. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა მხოლოდ თავისი ერთადერთი ვაჟის — სერგოს აღზრდას.

1953 წლის ივნისის ბოლოს „კომენდანტშა“ ნინო გეგეჭკორი და მისი ვაჟი დააპატიმრეს, როგორც „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის“ ლავრენტი ბერიას „თანამზრახველები“. მოგვიანებით ნინო გეგეჭკორი იტყვის: **„როდესაც ის დასაპატიმრებლად მივიდნენ, მან ჩათვალა, რომ ქვეყანაში მოხდა კონტრევოლუციური გადატრიალება და საბჭოთა ხელისუფლება დამხობილია“.**

დედა და ვაჟიშვილი მოსკოვის სხვადასხვა ციხეში მოათავსეს — ნინო გეგეჭკორი ბუტირკის ციხეში, ხოლო სერგო — საგამოძიებო იზოლატორში, ე.წ. „მეზღვაურულ სიმყუდროვეში“ („მატროსკაია ტიშინაში“)ძ.

ნინო თეიმურაზის ასულს წაუყენეს ბრალდებები, რომ იგი 1948-1951 წ.წ. მსოფლიო მნიშვნელობის კურორტ კარლსბადენში ორჯერ იმყოფებოდა, სადაც ისვენებდა და მკურნალობდა, რომ თავის სამშობლოში — საქართველოში მეფურად გაწყობილი პერსონალური ვაგონით მგზავრობდა, რომ ერთხელ თურმე ქუთაისიდან თბილისამდე ოქროს ზარებით მორთული ცხენებით იმოგზაურა, რომ მან თბილისიდან „გამოიწერა“ იმ დროს ძალზე პოპულარული საშა მკერავი და პერსონალური მემანიკიურე... სხვათა შორის, მშობლიურ ვაჟზეც მეურვეობა ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს. ყველა ზემოჩამოთვლილი ბრალდება, რომ იტყვიან, „თითებიდან გამოწოვილი“ უფრო იყო.

ორივემ — დედამ და შვილმა — წელიწადზე მეტი ერთადგილიან კარცერებში გაატარეს, ხოლო შემდეგ სვერდლოვსკში (ახლანდელი ეკატერინებურგში)ძ გადაასახლეს და დანიშნულების ადგილამდე „სტოლიპინის ვაგონით“ გაამგზავრეს. სერგოს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ჩამოართვეს და მხოლოდ უბრალო ტექნიკოსად მუშაობის უფლება მისცეს. სვერდლოვსკში მათ



აუტანელ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება... განთავისუფლების შემდეგ სერგომ ხელმეორედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, კიევში ჩამოაყალიბა ზესაიდუმლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც ამუშავებდნენ და ქმნიდნენ კოსმოსურ ტექნიკას.

აქვე უნდა გავიხსენო ნინო გეგეჭკორის ინტერვიუ, რომელიც მან კიევში მისცა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გაზეთ „სოვერშენნო სეკრეტნოს“. გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვა ეხებოდა ბერიას საყვარლებს, რაზედაც მან ასე უპასუხა: **„... ყველანი ისინი აგენტები იყვნენ და საბჭოთა სტრატეგიულ დაზვერვას ემსახურებოდნენ“...**

იოსებ სტალინის მეუღლე ნადეჟდა ალილუევა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ ვერ მოასწრო „კომენდანტშობა“. საერთოდ, ნადეჟდა ალილუევას არასოდეს არ უცდია ქმრის საქმეებში ჩარეულიყო, ან რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში მიელო მონაწილეობა. მისი ერთადერთით „დანაშაული“ ის იყო, რომ მან რეკომენდაცია მისცა ნიკიტა ხრუშჩოვს და მას შემდეგ სტალინი ხრუშჩოვს ეხმარებოდა, ამ უგნურ, უვიც და მასხარა კაცს. სხვათა შორის, ალილუევა და ხრუშჩოვი ერთად სწავლობდნენ მოსკოვის სამრეწველო აკადემიაში. ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ვიგინდარა შემდგომში სტალინის მემკვიდრე გახდებოდა? ალბათ, არავინ.

„საკავშირო მამასახლისის“, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიხეილ კალინინის მეუღლე — ეკატერინე ლორბერგი ზედმეტი ჭორიკანობისა და ყბედობისათვის, რამაც თითქოსდა გამოიწვია სახელმწიფო საიდუმლოების გამხელა და ქვეყნის საძირკვლების რყევა, დააპატიმრეს, გაასამართლეს და გადაასახლეს. მიხეილ კალინინმა ვერ შეძლო გამოქომაგებოდა მეუღლეს და მოხდა ისე, რომ კალინინი საიქიოს მეუღლის დაუტირებლად წავიდა...

ვიაჩესლავ მოლოტოვის მეუღლე — პოლინა მოსეს ასული ჟემჩუჟინა მართალია, საკავშირო კომპარტიის ცკ-ის წევრობის კანდიდატი იყო, მაგრამ ანალოგიურად ეკატერინე ლორბერგისა, ისიც ზედმეტი ენაჭარტალობისათვის პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოაშორეს და შორეულ გზას გაუყენეს.

ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგიერთებისათვის, თუ რა თქვა 1952 წლის 16 ოქტომბერს გამართულ სკკპ ცკ-ის პლენუმზე სტალინმა: **„... ამხანაგი მოლოტოვი ისე ძლიერად სცემს პატივს თავის მეუღლეს, რომ მივიღებთ თუ არა პოლიტბიუროში გადაწყვეტილებას რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე, დაუყოვნებლივ იცის ამხანაგმა ჟემჩუჟინამ. გამოდის, რაღაც უხილავი ძაფი აკავშირებს პოლიტბიუროს მოლოტოვის მეუღლე ჟემჩუჟინასა და მის მეგობრებთან. მას კი ისეთი მეგობრები ჰყავთ, ვერ ენდობი. გასაგებია, რომ პოლიტბიუროს წევრის ასეთი საქციელი დაუშვებელია“.** სტალინის გარდაცვალების შემდეგ ლორბერგი და ჟემჩუჟინა პატიმრობიდან გათავისუფლდნენ...

ნიკიტა ხრუშჩოვი თავის მეუღლეს ნინა პეტრეს ასულს გვერდიდან არ იშორებდა და მათ ერთად თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარეს. ნინა პეტრეს ასული თავის ქალიშვილ ადასთან ერთად თვეში ორჯერ მიფრინავდა პარიზში... თმავარცხნილობის მოსაწესრიგებლად. მათ უფლება ჰქონდათ, საბჭოური მაღაზიებიდან უფასოდ გაეტანათ ყველაფერი, რაც კი მოეწონებოდათ. ბოლოს იმდენად გათავხედდნენ, რომ მუზეუმებიდან დაიწყეს უძვირფასესი და უნიკალური ნივთების, ნახატებისა და შედევრების გატანა. „ავი ენები“ ამბობდნენ, რომ „კომენდანტშა“ ნინა პეტრეს ასულის განკარგულებით ტრეტიაკოვის გალერეიდან გაიტანეს იმპერატორ ეკატერინე მეორის ნაქონი ბრილიანტებით მოოჭვილი ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი, რომელიც იმ დროს „შავ ბაზარზე“ მილიონები ღირდა. ასეთი ბეჭედი ნიკიტამ და ნინამ საბერძნეთის მომავალ მეფეს — პრინც კონსტანტინეს გაუგზავნეს, როდესაც ის დანიის პრინცესაზე ქორწინდებოდა. მაგრამ კონსტანტინეს იმდენი სინდისი, ნამუსი და ვაჟკაცობა აღმოაჩნდა, რომ ეს უნიკალური, ისტორიული განძი — რელიკვია უკან დააბრუნა იმ მოტივით, რომ იგი ხალხის და ქვეყნის კუთვნილებაა. აქვე გვახსენდება, თუ როგორ მოეწონა ნინა პეტრეს ასულს თბილისის ისტორიის მუზეუმში ექსპონირებული თამარ მეფის ქოშები და ცოტა დააკლდა, რომ ხელს არ გაეყოლებინა...

ლეონიდ ბრეჟნევის მეუღლე ვიქტორია გოლდბერგი თითქოსდა ჩრდილში იყო და მის შესახებ ხალხმა არაფერი იცოდა. ის თავის მეუღლეს იშვიათად თუ დაჰყვებოდა საზღვარგარეთ მოგზაურობებში და საერთოდ არ ჩანდა პოლიტიკურ ასპარეზზე. სამაგიეროდ ლეონიდ ილიას ძის ქალიშვილი გალინა ბრეჟნევა ძალზე აქტიურ როლს ასრულებდა ზოგიერთების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის საკითხებში და მას საზღაურად ძვირფას საჩუქრებსაც ილებდა ოქროებისა და ბრილიანტების სახით.

„ბოროტების იმპერიის“ უკანასკნელი „კომენდანტშა“ რაისა გორბაჩოვა, როგორც „ტელევარსკვლავი“, პოლიტიკაში ბევრს ერეოდა და თავის მეუღლეს რჩევებს აძლევდა. საილუსტრაციოდ მომყავს ერთი ამონარიდი მიხეილ გორბაჩოვის გამოსვლიდან, 2000 წლის ბოლოს თურქეთში ყოფნისას ამერიკულ უნივერსიტეტში ჩატარებულ სემინარზე: „მთელი ჩემი ცხოვრების მიზანი იყო კომუნიზმის განადგურება. ამ საქმეში მე მთლიანად მეთანხმებოდა ჩემი მეუღლე, რომელსაც ეს აზრი ჩემზე ადრე დაებადა. ჩემი ოცნება მე აღვისრულე“...

**გურამ ჩხიკვაძე**

◎ ინფორმაცია

## ნაღმები ქართველების წინააღმდეგ

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა დახმარებას ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებისგან ითხოვს.**

**პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობა აცხადებს, რომ სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებითი ოსური საგუშაგოები შეიქმნა, რის გამოც მოსახლეობა გადაადგილებისგან თავს იკავებს და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს საძოვარზე ველარ უშვებს.**

**ამასთან, ამას წინთ ორი ერთეული რქოსანი პირუტყვი ნაღმზე აფეთქდა. მოსახლეობის თქმით, ქართული სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე ახალი ნაღმები ჩადეს, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას.**

## რას იმუქრება კოკოითი

**ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების პროცესის შეწყვეტით იმუქრება.**

**„თუ საქართველოს ხელისუფლება დიმიტრი სანაკოევის ე.წ. მთავრობასთან მოლაპარაკებებსა და ვიზიტებს არ შეწყვეტს, ცხინვალი საქართველოს ხელისუფლებასთან ყოველგვარ მოლაპარაკებას გაწყვეტს“, — განუცხადა კოკოითმა ჟურნალისტებს.**

**დე ფაქტო პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ სანაკოევს საქართველოს ძალოვანი უწყებები მართავენ.**

**კოკოითი კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომების ჩაშლასა და მოლაპარაკებათა პროცესიდან გასვლას აპირებს.**

## დავფარავთ თურქმენეთის ვალს?

**თურქმენეთის წინაშე არსებული საქართველოს საგარეო ვალის დაფარვას გაზრდილი ბიუჯეტიდან 29,6 მილიონი ლარი მოხმარდება.**

**ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გოგებაშვილმა განაცხადა.**

**გოგებაშვილის თქმით, გაზრდილ ბიუჯეტში, მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდეგ, გაეროს მიმართ არსებული ვალის დაფარვაც აისახება, რასაც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი ითხოვდა.**

**თურქმენეთის ვალი საქართველოს 90-იან წლებში ბუნებრივი აირის იმპორტის გამო დაუგროვდა. დავალიანების დიდი ნაწილი „თბილავიამშენის“ მიერ თურქმენეთისთვის ტექნიკის მიწოდებით დაიფარა.**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი თურქმენეთის წინაშე 67,3 მლნ ლარს შეადგენს.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

● საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საგადასახდელო ბალანსის წარმოებასთან ერთად უნდა აღრიცხოს ქვეყნის ერთობლივი საგარეო ვალისა და საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკური მონაცემებიც



№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

## ⊙ ინფორმაცია

### ევროსასამართლომ ათი სარჩელი დააკმაყოფილა

**ევროსასამართლომ, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან დღემდე, ქვეყნის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელებიდან ევროპული კონვენციის დარღვევა10 განაცხადზე დაადგინა.**

როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, ეს საქმეებია: 1. შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ; 2. ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ; 3. დანელია საქართველოს წინააღმდეგ; 4. გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ; 5. მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ; 6. მეზაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ; 7. დონაძე საქართველოს წინააღმდეგ; 8. დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ; 9. აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ; 10. იეჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ.

სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში აღსრულდა. ბოლო გადაწყვეტილება გამოტანილია 2007 წლის 3 მაისს, შესაბამისად, იგი არ შესულა ძალაში. თუ მხარეთა მიერ გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა, 3 თვეში იგი ძალაში შესულად მიიჩნევა.

იუსტიციის სამინისტროში აღნიშნეს, რომ ყველა განაცხადი, რომლებზეც ადამიანის უფლებათა დარღვევა დადგინდა, შეტანილია 1999 წლიდან 2002 წლამდე, ანუ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, ამჟამად ევროსასამართლოდან გამოგზავნილია ინფორმაცია 64 განაცხადთან დაკავშირებით.

### შეხვედრა სავალუტო ფონდის ტექნიკურ მისიასთან

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკურ მისიას შეხვდა, რომელსაც საქართველოსა და აზერბაიჯანში საგარეო სექტორის სტატისტიკის საკითხებში რეგიონული მრჩეველი ნატალია ივანიკი ხელმძღვანელობს.**

ეროვნული ბანკის ცნობით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო სავალუტო ფონდის ტექნიკური მისიის ვიზიტისას შემუშავებულ საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებულ საშუალოვადიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მიზნად ისახავს საქართველოში საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის წარმოების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მრჩეველი დაეხმარება საქართველოს ეროვნულ ბანკს საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის წარმოების ახალი სისტემის დანერგვაში.

ახალი სისტემის საშუალებით, საგრძნობლად დაიხვეწება საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და მათი მიღების ოპერატიულობა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მისიის რეკომენდაციის თანახმად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საგადასახდელო ბალანსის წარმოებასთან ერთად უნდა აღრიცხოს ქვეყნის ერთობლივი საგარეო ვალისა და საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკური მონაცემებიც.

### ვინ გააყალბა ექსპერტიზის შედეგები?

**პარლამენტის მომხსენებელთა სპეციალურ ჯგუფში სატყეო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის ბიძინა გიორგობიანის საქმესთან დაკავშირებით გაყალბებულ ექსპერტიზაზე საუბრობენ.**

ამასთან დაკავშირებით, გუშინ პარლამენტში სპეციალურმა ჯგუფმა სხდომა გამართა, რომელზეც მიწვეულები იყვნენ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი ლევან გვილიანი, აგრეთვე ექსპერტი გიორგი ჩადუნელი, რომელმაც თავის დროზე ბიძინა გიორგობიანის საქმესთან დაკავშირებით გასცა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც საფუძვლად დაედო ბიძინა გიორგობიანის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს. ისინი სხდომაზე არ გამოცხადნენ.

სხდომაზე მოწვეული იყო ექსპერტი ხათუნა ტყეშელაშვილი, რომელმაც ბიძინა გიორგობიანის საქმესთან დაკავშირებით გაცემულ გაყალბებულ ექსპერტიზაზე ისაუბრა.

კერძოდ, მომხსენებელთა ჯგუფში აღნიშნავენ, რომ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილემ ლევან გვილიანმა მის ქვემდებარე პირს გიორგი ჩადუნელს შეადგენინა ყალბი საექსპერტო დასკვნა და გადააგზავნინა იგი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

ხათუნა ტყეშელაშვილი, რომელიც ამავე ბიუროს ყოფილი თანამშრომელია, აღნიშნავს, რომ ჩადუნელს არა აქვს საექსპერტო განათლება და, შესაბამისად, არც დასკვნა შეესაბამება სიმართლეს.

არსებული ინფორმაციით, ბიძინა გიორგობიანის საქმის შემთხვევაში ხეტყესთან დაკავშირებით ექსპერტიზა გაიცა არა ხეტყის შესწავლის საფუძველზე, არამედ — ზეპირად.

საპარლამენტო მომხსენებელთა ჯგუფი მსგავსი სხდომის გამართვას მომავალშიც გეგმავს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## ⊙ ფეხბურთი

### შინ და გარეთ

**პროფესიონალ მწვრთნელად ვიცნობთ დუშან უგრინს, მაგრამ ქართულ ფეხბურთსა და, კონკრეტულად, საკუთარ გუნდს თბილისის „დინამოს", ეტყობა, ჯერ ბოლომდე ვერ აუღო ალღო.** სხვაგვარად ძნელია შეაფასო ის ტაქტიკა, რომელიც ჩეხმა სპეციალისტმა XVIII ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრისთვის შეარჩია — მაშინ, როცა უშუალო კონკურენტთან — რუსთავის „ოლიმპთან" სტუმრად მხოლოდ გამარჯვება იყო საჭირო, დილმელები მინდორზე ერთი თავდამსხმელით გავიდნენ. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ულიმღამო სანახაობა უგოლოდ დასრულდა — 0:0, ეს კი მასპინძელთა საჩემპიონო შანსებს მაქსიმალურად ზრდის.

**XXIII ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები:** „ჩიხურა" — „ბორჯომი" 1:0, „ვიტ ჯორჯია" — „ბათუმი" 0:0, „ლოკომოტივი" — „ამერი" 0:1, „მერანი" — „დილა" 0:0, „ზესტაფონი" — „ტორპედო" 2:0, „კახეთი" — „სიონი" 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი" — 56, „დინამო" — 53, „ამერი", „ზესტაფონი" — 50-50, „ვიტ ჯორჯია" — 44, „სიონი" — 36, „ტორპედო" — 31, „ბორჯომი" — 27, „ბათუმი" — 24, „ლოკომოტივი", „ჩიხურა" — 21-21, „ამერი" — 20, „დილა" — 11, „კახეთი" — 2 ქულა.

**12 მაისს ითამაშებენ:** „ბორჯომი" — „კახეთი", „სიონი" — „ზესტაფონი", „ტორპედო" — „ლოკომოტივი", „ამერი" — „მერანი", „დილა" — „ოლიმპი", „დინამო" — „ვიტ ჯორჯია", „ბათუმი" — „ჩიხურა".

* * *

**იტალია. XXXV ტური.** „მესინა" — „ინტერი" 0:1, „პალერმო" — „რომა" 1:2, „ლაციო" — „ლივორნო" 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი" — 90, „რომა" — 72, „ლაციო" — 61 ქულა.

**ესპანეთი. XXXIII ტური.** „სოსიედადი" — „ბარსელონა" 0:2, „რეალი" — „სევილია" 3:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა" — 65, „რეალი" — 63, „სევილია" — 61 ქულა.

**ინგლისი. XXXVII ტური.** „სიტი" — „მანჩესტერი" 0:1, „არსენალი" — „ჩელსი" 1:1, „ფულჰემი" — „ლივერპული" 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი" — 88, „ჩელსი" — 81, „ლივერპული", „არსენალი" — 67-67 ქულა.

**გერმანია. XXXII ტური.** „შალკე" — „ნიურნბერგი" 1:0, „შტუტგარტი" — „მაინცი" 2:0, „ჰერტა" — „ვერდერი" 1:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შალკე" — 65, „შტუტგარტი" — „64, „ვერდერი" — 63 ქულა.

**ჰოლანდია. თასის ფინალი.** „აიაქსი" — „ალკმაარი" 1:1 (პენალტებით 8:7).



## ⊙ რაგბი

### „ლოკომოტივმა" „არმაზს" ჩაუქროლა

**გასულ შაბათ-კვირას ვაკეში საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. ქვეყნის ჩემპიონმა „ლოკომოტივმა" პირველობის დებიუტანტი „არმაზი" იოლად დაამარცხა 34:7. ახალგაზრდულმა გუნდმა „უნივერსიტეტმა" დაძაბულ ბრძოლაში შარშანდელ ვერცხლის პრიზიორ „დინამოს" სძლია 9:3.**



დრამატული გამოდგა „ყოჩებისა" და „ლელოს" დაპირისპირება. თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ 7:0, მაგრამ ლელოელებმა მალევე მოახერხეს მატჩში გარდატეხის შეტანა და 13 ქულით გავიდნენ წინ — 20:7. ორთაბრძოლის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ისინი იგებდნენ შეხვედრას 26:20. ამ კრიტიკულ მომენტში „ყოჩებმა" შეძლეს ლელოს გატანა და კობახიძემ ზუსტი გარდასახვით გამარჯვება (27:26) მოუტანა საკუთარ გუნდს.

* * *

**პრაღაში ჩეხეთის ნაკრებმა ევროპის ერთა თასზე ესპანეთს უმასპინძლა და დამარცხდა 15:42. სამი გამარჯვებით საქართველოს ნაკრები ლიდერობს.** ორ-ორჯერ მიაღწიეს წარმატებას (სამი შეხვედრიდან) რუმინელებმა, რუსებმა და ესპანელებმა. ერთადერთი მატჩი გამართეს და ისიც მოიგეს პორტუგალიელებმა, ჩეხები კი 4 წაგებით უიმედო აუტსაიდერები არიან. 12 მაისს პორტუგალია რუსეთს უმასპინძლებს.


**განცხადება**

**გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს „ყვარელი 2000"-ის (მდებარე ქ. ყვარელი, მეურნეობის დასახლება, რეგისტრირებული ყვარლის რ-ნის სასამართლოს 1999 წლის 24 თებერვალს №55/4-65 დადგენილებით, საიდენტ. კოდი 241562741) ლიკვიდაცია.**

დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვმართოთ: ქ. თბილისი, ატენის ქ. 6/8, ბ. 75, ტელ: 91-59-30 (ბიძ.

**დირექტორი**
**გ. ბოსტოღანაშვილი**

**საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმის**

**განცხადება**

საქართველოს საინჟინრო აკადემიის საერთო კრება შედგება 2007 წლის 29 ივნისს.

**დღის წესრიგი: საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები.**

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2007 წლის 8 ივნისამდე, 12 სთ-დან 16 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა. **მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №15, I სართული, ოთახი 20, ტელ: 92-21-42, 38-34-88, 36-50-30, 877 41-29-60.**

**შეტყობინება**

**სააქციო საზოგადოება „გომის სპირტისა და არყის კომპანიის" აქციონერებს**

**გაცნობებთ, რომ 2007 წლის 29 მაისს 12 საათზე გაიმართება სს „გომის სპირტისა და არყის კომპანიის" საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. ხაშური, სოფელი გომი.**

**კრების დღის წესრიგი:**

ა) საზოგადოების 2006 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის დამტკიცება;

ბ) საზოგადოების 2006 წლის მოგების მოხმარება საზოგადოების განვითარებისთვის;

გ) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 2006 წლის ანგარიშის მოსმენა;

დ) სხვადასხვა.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს „გომის სპირტისა და არყის კომპანიის" დირექტორატში (მის: ხაშურის რაიონი, სოფელი გომი), ხოლო განმარტებების მისაღებად, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული დირექტორატის წინაშე კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მოწვევამდე 10 დღის ვადაში, შესაძლებელია კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება შეამოწმოთ სს „გომის სპირტისა და არყის კომპანიის" რეგისტრატორთან — შპს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი „თბილისის რეესტრი", მისამართი ქ. თბილისი, მოსაშვილის ქუჩა №24.

**მალხაზ ჭყოიძე,**
**სს „გომის სპირტისა და არყის კომპანიის"**
**გენერალური დირექტორი.**
**2007 წლის 8 მაისი**

● საამაყოა, რომ შიდა ქართლში არამარტო სათუთად უფრთხილდებიან დიდებულ ფალავანთა ტრადიციებს, არამედ მომავალი თაობის დასაფრთიანებლადაც ზრუნავენ



## ⦿ ორბიტაზე

### პირველზე იპირველა



**ჩინელი აბუდასატაერ ვუჟიაბდულა გახდა პირველი ჩემპიონი მუშაითთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატისა, სეულმა რომ უმასპინძლა.** ამ უჩვეულო ასპარეზობაში 18 კაცი მონაწილეობდა. მათ თითქმის კილომეტრი უნდა გაეარათ მდინარე ხანის ორივე სანაპიროზე აღმართულ კოშკებზე გადაჭიმულ სამსანტიმეტრიანი დიამეტრის ბაგირზე. თანაც მოასპარეზეებს უნდა დაეძლიათ მძლავრი ქარიც და გადამფრენი ფრინველების შემოტევაც. ამას, მაგალითად, ვერ გაუძლო რუსეთელმა ალექსი მარჩენკომ და ფინიშთან ახლოს 22 მეტრის სიმაღლიდან მდინარეში ჩავარდა.

„ახალგამომცხვარი“ ჩემპიონის შედეგია 11.22,49 წუთი, ფინიშთან მისვლისას მეორე დრო აჩვენა კოლუმბიელმა ალან მარტინესმა.

### კრამნიკი ერევანში მარცხდება



**უნგრეთში დიდოსტატ ლეკოსთან გამარჯვების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმერ კრამნიკი ერევანს ეწვია და სწრაფ ჭადრაკში 6-პარტიიანი მატჩი გამართა მსოფლიო თასის მფლობელ ლევონ არონიანთან.**

პირველ დღეს მეტოქეებმა თეთრებით თითო-თითო გამარჯვებას მიაღწიეს.

მეორე დღეს კი ორივე პარტია მასპინძელმა მოიგო. მესამე პარტიაში სომეხმა დიდოსტატმა „შავებით“ წამოაჩოქა მსოფლიო ჩემპიონი, მეოთხე პარტიაში კი თეთრებით ძალზე ლამაზი პარტია შესთავაზა მეტოქეს და დაამარცხა.

### მატჩი ჩაიშალა

**ის შაბათს ოსლოში უნდა გამართულიყო — ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდნენ მუსლიმანი იმამები და ქრისტიანი მღვდლები, ის იყო კონფერენციის „მხარდამხარ“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. კონფერენციის მიზანი კი დიალოგის უზრუნველყოფაა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის. მატჩის ჩაშლის მიზეზი გახდა ქრისტიანთა გუნდში რამდენიმე ქალი ფეხბურთელის მონაწილეობა.**

ნორვეგიის ეკლესიის პრეს-მდივნის ოლაფ ფიძსე ტვეიტას განცხადებით, იმამებმა მატჩში მონაწილეობაზე იმიტომ თქვეს უარი, რომ რელიგია მათ უკრძალავს ქალებთან ფიზიკურ კონტაქტს. ჯერ გადაწყვიტეს, მაინც ეთამაშათ ქალების გარეშე, მაგრამ შემდეგ მატჩი მაინც ჩაიშალა, ასე რომ, დიალოგი არ შედგა.

მსგავსი მატჩი პირველად 2006 წელს გაიმართა. მაშინ მუსლიმანთა ნაკრები ბერლინის ეკლესიათა მღვდლებს ეთამაშებოდა. შეხვედრა დამთავრდა 12:1 კათოლიკეთა და პროტესტანტთა ნაკრების სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის მსაჯობა მაშინ ადგილობრივი სინაგოგის რაბინს მიანდეს.



## ⦿ ძიუდო

# მხოლოდ ერთი „ოქრო“

**რუსეთის დედაქალაქში გასულ უქმეებზე ძიუდოისტთა მსოფლიოს სუპერთასი გათამაშდა, რომელიც სალიცენზიო ტურნირიც იყო.**

ქართველ ფალავანთაგან ყველაზე უკეთ ლევან რაზმაძემ (100კ) იჭიდავა. მან ზედიზედ სძლია რუმინელ დანიელ ბრატას, იტალიელ ევროპის ჩემპიონ ფრანჩესკო ლეპრეს, ნალჩიკელ ასლან უნაშხოტლოვს, ბრიტანელ პეტერ გუსინსს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ ლევანმა წლეულს თბილისში მეორე (მძიმე წონაში), ხოლო სპალას ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრების დანარჩენი წევრებისთვის მოსკოვის ტურნირი უილბლო გამოდგა: ნესტორ ხერგიანი (60კ) და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონაძ მეხუთე ადგილებზე გავიდნენ, გრიგოლ შინჯიკაშვილი (81კ) მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში თავი ისახელა ილიას ილიადისმა (ჯარჯი ზვიადაურიძ, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. ამავე წონაში ზურაბ ზვიადაური ჯერ ჰოლანდიელ ჰენკ გროლთან დამარცხდა, შემდეგ ბრიტანელ ვინსტონ გორდონთან დათმო ორთაბრძოლა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**სხვა წონებში ჩემპიონები გახდნენ: ჰოვანეს დავთიანი (60, სომხეთიძ, დაქს ელმონტი (66, ჰოლანდიაძ, სეზერ ჰიუზუსი (73, თურქეთიძ, იუან ბარტონი (81, ბრიტანეთიძ, ტამერლან ტმენოვი (მძიმე წონა, რუსეთიძ.**

## ⦿ კალათბურთი

# აქეთური, იქეთური



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

**XVI ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა სოლიდური ფორა მიიღო — მისი მეტოქის „ავიამშენის“ ლიდერი ირაკლი ხოშტარია ოჯახური მდგომარეობის გამო პარტნიორებს გამოაკლდა.**

მაშინ, როცა ბევრს ეგონა, რომ ასეთი ფსიქოლოგიური დარტყმა ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს წელში გატეხავდა, პირიქით მოხდა — უკაპიტნოდ დარჩენილი ავიატორები ერთ მუშტად შეიკრნენ და „პლეი-ოფში“, რომელიც სამ მოგებამდე გრძელდებოდა, 2:0 დაწინაურდნენ.

განსაკუთრებული დრამატიზმით პირველი დუელი გამოირჩეოდა, რომლის ბედიც დამატებით დროში გადაწყდა — 109:104 (ძირითადი დრო 97:97ძ. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულმა ზვიად ბაბიაშვილმა (28 ქულაძ პირადი მონაგრის დიდი ნაწილი შესვენებამდე მოაგროვა, სტუდენტთა სნაიპერი ბესო ლეჟავა (29 ქულაძ კი, პირიქით, ბრძოლის მეორე ნახევარში გააქტიურდა. კრიტიკულ ვითარებაში ჩინებულად გაისარჯა ირაკლი ბერიშვილი, რომელმაც უშეცდომოდ შეასრულა საჯარიმო ტყორცნები.

მისივე ბენეფისად იქცა საპასუხო მატჩიც, რომელსაც კარგა ხნის განმავლობაში თსუ იგებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ნიკოლაძე და ბარბაქაძე გამოცოცხლდნენ, „ტყუპმაც“ აიწყვიტა (42 ქულაძ, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა წარმატების მოსაპოვებლად — 102:97.

რაც შეეხება მეორე წყვილს, სუპერლიგის რეგულარული სეზონის ყოჩმა რუსთავის „აზოტმა“ შინ თბილისის „დინამოსთან“ გაილაღა — 101:80 და 92:72.

დღეს 14 და 16 საათზე ვერის ბაღში მორიგი მატჩები გაიმართება.

* * *



**თელ-ავივის „მაკაბი“ ერთადერთი კლუბია, ევროლიგა ზედიზედ ორჯერ რომ მოიგო. ებრაელთა მიღწევის გამეორება შარშანდელ გამარჯვებულ ცსკა-ს შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა.** ათენში დასრულებული „ოთხთა ფინალის“ გადამწყვეტი მატჩი არმიელებმა დრამატულ ბრძოლაში დათმეს ადგილობრივ „პანათინაიკოსთან“ — 91:93. აღსანიშნავია, რომ თანამემამულეთა წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა პაპალუკასმა (23 ქულაძ, თუმცა მოსკოველ პარტნიორებს მაინც ვერ უშველა. დასკვნითი რაუნდის საუკეთესო კალათბურთელად მასპინძელთა ვეტერანი დიამანტიდისი მიიჩნიეს.

მესამე ადგილისთვის გამართულ ესპანურ დუელში „უნიკახამ“ „ტაუგრესს“ სძლია — 76:74.

## ⦿ მხარე

# წარსულიც ახსოვთ, მომავალზეც ზრუნავენ

**ვინ არ იცნობს ჩოჩიშვილების, თენაძეების, ბერუაშვილებისა და გოგიჩაშვილების დინასტიებს. მათ ხომ არაერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის მატიანეში. საამაყოა, რომ შიდა ქართლში არამარტო სათუთად უფრთხილდებიან დიდებულ ფალავანთა ტრადიციებს, არამედ მომავალი თაობის დასაფრთიანებლადაც ზრუნავენ.**

ამის ნათელი დადასტურება გახლდათ გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში ახლახან გამართული ენგურ გოგიჩაშვილის მემორიალი ძიუდოში. ტატამზე გამოსული სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 100-ზე მეტი წარმომადგენლის უშეღავათო დავაში აშკარა გახლდათ მასპინძელთა უპირატესობა — მათ შვიდი წონითი კატეგორიიდან ხუთში გაიმარჯვეს: რობერტ მშვიდობაძის, გიორგი ფერსაშვილის (მასვე გადაეცა ყველაზე ტექნიკური და პერსპექტიული მოჭიდავისთვის დაწესებული სპეციალური პრიზიძ, ზვიად ბაზანდარაშვილის, იოსებ ჩილინდრიშვილისა და იასონ პურიჭამიაშვილის გარდა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ახმეტელი ამირან გონჯილაშვილი და თბილისელი ვალერი ლიპარტელიანი ავიდნენ.

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ“ საკ. კორ.

## ⦿ დაფასება

# მერიამ დააჯილდოვა

**ამას წინათ ქართველმა ფალავნებმა შესანიშნავად იჭიდავეს ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.** „კლასიკოსთაგან“ ჩემპიონები გახდნენ მანუჩარ კვირკველია (74კ) და რამაზ ნოზაძე (96კ, „თავისუფლებში“ ვერცხლის მედალი ხვდა გელა საღირაშვილს (74კ, ხოლო გიორგი გოგშელიძე (96კ) და ლეძსო მოდებაძე (მძიმე წონაძ მესამე ადგილებზე გავიდნენ.

ქალაქის მერიამ მოჭიდავეებს შეხვედრა მოუწყო და მედალოსანს ფულადი პრიზებით დაასაჩუქრა: ჩემპიონებს 2000 ლარი გადაეცათ, მეორეადგილოსანს — 1500, ხოლო „ბრინჯაოს“ პრიზიორებს — 1000-1000 ლარი. მათს მწვრთნელებს 500-500 ლარი ხვდათ.

## ⦿ ათლეტიზმი

# ორი რეკორდით



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამთავრდა ცნობილი ქართველი ათლეტის, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონის შოთა ბეჟაშვილის სახელობის ტურნირი წოლჭიმში.**

მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმერ ნაზლაიძემ (56 კგ., თსუძ 160 კგ. აჭიმა და თავისივე მიღწევა 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა.

75 კილოგრამ წონით კატეგორიაში თსუ-ს სიღნაღის ფილიალის სპორტსმენმა გიორგი ბეჟაშვილმა 201-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, რაც 0,5 კილოგრამით სჯობს უწინდელ მიღწევას.

დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ: ცოტნე ბეჟაშვილი (60, სიღნაღიძ, კობა ჯავახიშვილი (67,5, სიღნაღიძ, ზურაბ ძამუკაშვილი (82,5, თელავიძ, ვასილ მინდორაშვილი (90, თბილისიძ, ზურაბ მოსულიშვილი (100, სიღნაღიძ, ივანე კოზიაშვილი (110, თელავიძ, ავთანდილ მამალაძე (125კ, ხვიჩა მამედოვი (+125, ორივე — თბილისიძ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თსუ-ს ათლეტიზმის კლუბმა „ამირანმა“, მეორე ადგილზე სიღნაღის „ამირანი“ გავიდა, მესამე იყო თელავის „შევარდენი“.

**ზურაბ ჭავჭანიძე,**
საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი

№ 87. სამშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



◎ განათლება

# სკოლა ეძებს და პოულობს მეგობრებს



**თბილისის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის 207-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – დემურ ბერიძე) სხვადასხვა სკოლასთან მეგობრობს. მათ შორისაა ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის საჯარო, მარტვილის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის პირველი, თბილისის გრიგოლ ხანძთელის სახელობის 189-ე საჯარო სკოლები. მათ ახლახან მიემატა მარნეულის რაიონის სოფელ ქვემო სარალის რზა აზასოვის სახელობის აზერბაიჯანული სკოლა, რაც განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულმა „სასკოლო პარტნიორობის“ პროგრამაში მონაწილეობამ განაპირობა.**

207-ე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ჩავიდნენ ქვემო ქართლში, სადაც შეთანხმდნენ ერთობლივ ღონისძიებებზე: პროექტის ბიუჯეტზე, მიზნებზე და ამით მათი ურთიერთობაც დაიწყო. ორივე სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები შეხვდნენ „საქართველო ჩემი სამშობლოა“ კავშირის თავმჯდომარეს ალი ბაბაევს. ესტუმრნენ მარნეულის რესურსცენტრს (ახლა ასე ჰქვია განათლების განყოფილებას). თბილისელები ჩავიდნენ მუსლიმანთა ტრადიციულ დღესასწაულზე „ნოვრუზ ბაირამზე“. სკოლის მოსწავლეებთან ერთად სოფელ ქვემო სარალის მოსახლეობაც სიხარულით შეხვდა თბილისიდან ჩასულებს.



საპასუხოდ აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები თბილისის 207-ე საჯარო სკოლას ესტუმრნენ, სტუმრებს მასპინძლებმა დაათვალიერებინეს მუზეუმი, დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

სტუმარ-მასპინძლებმა გვირგვინებით შეამკეს 9 აპრილსა და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი.

# გაიმარჯვეს „პითაგორამ“ და „პირველებმა“

**მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ლექტორიუმში თბილისის 53-ე და 189-ე საჯარო სკოლების და კომპიუტერული სტუდიის აღსაზრდელთა შეხვედრა-შეჯიბრი გაიმართა.** პროექტის მიზანი იყო მოსწავლეთა მათემატიკური თვითშემოქმედების გამოვლენა, მონაწილეთა ლოგიკურ-ანალიტიკური უნარის წარმოჩენა, რასაც სათანადო ყურადღება განათლების რეფორმაში ექცევა. კონკურსის კოორდინატორები იყვნენ ირინა ბარკალაია და ნინო რუსიაშვილი. ჟიურის წევრები კი – მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კომპიუტერული სტუდიის ხელმძღვანელი ლია შენგელია, 53-ე და 189-ე საჯარო სკოლების პედაგოგები თამუნა შაშიაშვილი და ვიქტორ სამყურაშვილი.

კონკურსში პირველი ადგილი გაინაწილეს 53-ე საჯარო სკოლის გუნდმა „პითაგორამ“ და 189-ე საჯარო სკოლის გუნდმა „პირველებმა“.

გამარჯვებულნი მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

**ნათელა ფაილოძე**

◎ საოპერო ხელოვნება

# სასურველი სტუმრები ნემანის ნაპირებიდან

**გამოჩენილი ლიტველი მეცო-სოპრანოს, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის იუდიტა ლეიტაიტეს კონცერტი კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჭეშმარიტი მეგობრობის ზეიმად იქცა ლიტველ და ქართველ ხალხს შორის.**

ბელკანტოს მფლობელი ფრიად მომხიბლავი მომღერალი ქალი მარტო როდი ესტუმრა თბილისს. მას ბევრი თანმხლები თანამემამულე ახლდა. კონცერტს დაესწრნენ უცხოელი დიპლომატები, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მეუღლითურთ და სხვანი. აქვე გახლდათ სანდრა რულოვსი დედითურთ. აკომპანიმენტს მას უწევდნენ ჩინებული პიანისტი მამაკაცი ანდრიუს ვასილიუსკასი და მომღერალმა თავისი მდიდარი რეპერტუარით და ლამაზი, მოქნილი ხმით დამსწრეთ უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მოჰგვარა, შეასრულა რა ლიტვური ხალხური სიმღერები, აგრეთვე კლასიკური შედევრები, არიები ოპერებიდან, რომანსებიდან, კონცერტის დასასრულს კი ქართულ ენაზე ჩვენი საუნჯე – „სულიკო“. თვალში საცემია მისი უმაღლესი არტისტიზმი.

დამსწრე სტუდენტი ვოკალისტებისათვის, ასევე ოპერის მომღერალი პროფესიონალებისთვის ეს გახლდათ საუკეთესო გაკვეთილი კარგი, სწორად სიმღერისა და ხმის ძალისმიერი ფორსირებისთვის. ასე თავისებურად აჟღერდა გრიგის „მიყვარხარ“, ბიზეს „ხაბანერა“ და სხვა მარგალიტები. დიახ, ამ ლამაზი მომღერალი ქალისაგან დამწყებ, ან უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებულ ვოკალისტებს კარგი საშუალება მიეცათ სწორი სიმღერის საიდუმლოებაში ღრმად ჩაწვდომისა.

შემდგომ დღეს ლიტველი სტუმრები ოპერისა და ბალეტის თეატრში განახლებულ პრემიერას – კრეინის „ლაურენსიას“ დაესწრნენ და აღფრთოვანებულნი დარჩნენ სპექტაკლის საშემსრულებლო დონით, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ნინო ანანიაშვილს, ნუკრი მაღალაშვილს, მთელ საბალეტო დასს. სტუმრებს ძალიან მოეწონათ მხატვრული გაფორმება, კოსტიუმები და ის სიახლეები, რაც ბალეტმეისტერ ნუკრი მაღალაშვილის ნოვატორობაა. კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს მათზე არა მხოლოდ წამყვანმა სოლისტებმა, არამედ კორდაბალეტის მოცეკვავეებმაც. ესეც ხელშემწყობ გარემოებად იქცა ლიტვა-საქართველოს სამეგობროდ.

**აკაკი დოლიძე**

შპს „იბერია“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ირ. აბაშიძის ქ. №41. ტელ. 25-28-96.

ხსოვნა

# ნელი ჩიქოვანი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სამხატვრო აკადემიის პედაგოგი ქალბატონი ნელი ჩიქოვანი, რომლის ლირიზმით სავსე შემოქმედება როგორც ფერწერაში, ასევე გრაფიკაში, ძველი თბილისის უბნებს და გამოჩენილ პიროვნებათა პორტრეტებს ასახავს.

თავად მშვენიერი ქალბატონის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია საქართველოს ულამაზესი კუთხეების პეიზაჟებს, რომლებიც პოეტურობითაა გამორჩეული.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილს გამოხატავს უმშვენიერესი ქალბატონის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

გახსენება

# გურამ (გუგულა) ბუხნიკაშვილი

სულ მალე ორმოცი დღე გახდება გუგულა ბუხნიკაშვილის ამქვეყნიური ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამთავრებიდან.

ძნელია გუგულა ბუხნიკაშვილის, სიცოცხლის მოტრფიალე ადამიანის, უცრემლოდ გახსენება. იგი ფაქტობრივად უდედმამოდ, დაძმური სიყვარულის განუცდელად იზრდებოდა და ყალიბდებოდა. მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპა და მეორედ გათხოვილმა დედამ და-ძმასთან ერთად „გაასხვისა მზითევში „ზედმეტობის“ გამო. ბუნებრივი ნიჭიერებით და სრულქმნილი ფიზიკური აღნაგობით მან დამოუკიდებლად აირჩია ჯანსაღი ცხოვრების წესი. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სოფელ სარგვეშის (ხარაგაულის რაიონი) მოსახლეობამ სოფლის თავკაცად აირჩია. დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, მიუხედავად იმისა, ხელმძღვანელ თანამდებობაზე იყო თუ არა, სამშობლოს სიყვარულისა და ხალხის სამსახურში გაატარა. იგი გულქართლი პიროვნება იყო ამ ქართული სიტყვის ყველა მნიშვნელობით – გულუხვი, პურადი, გულკეთილი და გულმართალი.



ყველა ადამიანში პოზიტიურს ეძებდა და ყველასადმი მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა, ყველას სატკივარს მძიმედ განიცდიდა და ადამიანთა წარმატებებით მეტადრე ხარობდა, მოლხენაც სათანადო დონეზე იცოდა. ჩემი სამი დიდან უმცროსზე დაქორწინდა და დანარჩენები – დებად, მე და ჩემი ძმა – ძმებად ჰყავდით აღიარებული.

ჩვენი გარდაცვლილი მშობლები საკუთარ დედ-მამად მიაჩნდა, არც ისინი აკლებდნენ მშობლიურ ზრუნვას. გუგულა ხშირად იტყოდა ხოლმე, ალბათ, ასეთია და-ძმური და დედ-მამის სიყვარულიო. მისი პიროვნების ყოველმხრივი დახასიათება სცილდება საგაზეთო სტატიის ფარგლებს, მაგრამ ის კი უნდა დავძინო, რომ მან შესანიშნავი შვილები აღუზარდა სამშობლოს, შვილიშვილებიც ჯანსაღი ადამიანები იზრდებიან. აქ ახლა უპრიანია ითქვას, რომ ბოლოს სამსახურებრივ საქმიანობაში გული ატკინეს. სამართლის საძიებლად თბილისს მოაშურა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მომინახულა, გულისტკივილი გამანდო და მითხრა, აგერ უკვე ოთხი ათეული წელია ეკონომისტების და იურისტების აღზრდას ემსახურები, იქნებ იცნობდე კიდეც ისან-სამგორის მოსამართლეს ეკა ცისკარიძეს, რეკომენდაცია გამიწიე, ობიექტურად რომ განიხილოს ჩემი სარჩელიო. ვუთხარი, სასამართლოს რეფორმა მიმდინარეობს, უეჭველად ობიექტურად მოგექცევიან და სამართლიანობა იზეიმებს-მეთქი. ვინ უწყის, დამიჯერა, თუ არა. ორიოდე დღის შემდეგ დამირეკეს მისი გარდაცვალების შესახებ. იქნებ უსამართლო ქმედების მსხვერპლიც კი გახდა? ვინძლო მოსამართლემ ობიექტური განაჩენით გაუთბოს გული დამწუხრებულ ჩემს დას და დის შვილებს, ყველა ახლობელს.

ვაგლახ რომ, ვერ დაესწრო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და ვერ მიაგო ჩვეული პატივისცემა იმ ქვეყნად წასულ ახლობლებს, რაც დაგეგმილი ჰქონდა. იგი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინ აღესრულა.

გუგულა ბუხნიკაშვილმა ამ ქვეყანაზე კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრა. იმქვეყნიურ სასუფეველშიც ნათელი ფარავდეს. ამინ.

**დავით კურტანიძე,**
საფინანსო-იურიდიული აკადემიის რექტორი, პროფესორი

ოფთალმოლოგიის და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცენტრის ძველი თაობის ღირსეული წარმომადგენელი, საქმის ერთგული და კოლექტივისთვის უსაყვარლესი პიროვნება ქალბატონი

**ნელი ალშიბარა**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.



დედა დოდო, მეუღლე მზია უგრეხელიძე, შვილები ზვიადი, ზურაბი, და ნანა, დისწული თეა ბოდოკია, ბიძა დავითი (ჩიტოძ, სიდედრი დოდო, ცოლისძმა ავთანდილ უგრეხელიძე, ბიძაშვილები გია, დათო, ვიქტორი, ალექსანდრე, ვალენტინა მეფარიშვილები; დიმიტრი, ბორის, ზეინაბ, ზურაბ, იური, ირმა ზივზივაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა.

**რევაზ ალექსანდრეს ძე მეფარიშვილი**

პანაშვიდები 8, 9 V, 17 სთ. დაკრძალვა 10 V, 15 სთ. მისამართი: თბილისი, ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქ. მე-2 მკრ, მე-3 კორპ, მე-6 სადარბაზო, ბინა 15 (მე-10 საშუალო სკოლის გვერდით).

**თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!**



## ხელოვნება

# იუზა ლორია

დაიბადა 1936 წლის 26 ოქტომბერს სამტრედიის რაიონის სოფ. გორმაღალში მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1954 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. კოხნარში. იმავე წელს ჩაირიცხა და 1959 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1970-76 წლებში დაუსწრებლად სწავლობდა მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში.



შრომითი საქმიანობა დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობით, ჯერ სამტრედიის რაიონის სოფ. ბაშში, შემდეგ კი გორმაღლის რვაწლიან სკოლაში. 1961 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქ. თბილისში და მუშაობა დაიწყო კავშირგაბმულობის სისტემაში ჯერ პრესის გავრცელების სამმართველოში („სოიუზპეჩატი“), შემდეგ კი კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარატში. წლების განმავლობაში ემსახურებოდა კავშირგაბმულობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას. მუშაობდა მინისტრის თანაშემწედ, შემდგომ კი ბუღალტრული აღრიცხვისა და საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად.

მისი ნიჭი და ორგანიზაციული უნარი სრულყოფილად გამოვლინდა 1991-94 წლების მძიმე პერიოდში ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“-ში დირექტორის მოადგილედ მუშაობისას. ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოში დამოუკიდებელი ბეჭდვითი მედიის ჩამოყალიბება და სრულყოფა.

ასევე წარმატებით მოღვაწეობდა იგი 1995-2000 წლებში საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციაში გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულების დროს.

კავშირგაბმულობის სისტემაში მისი 30-წლიანი მოღვაწეობა 2001 წელს აღინიშნა ღირსების ორდენით. საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის საერთო კრების 2004 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით იგი არჩეული იყო აღნიშნული აკადემიის აკადემიკოსად.

დიდია ბატონ იუზას დამსახურება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ჩამოყალიბებისა და შექმნის საქმეში. კომისიის ჩამოყალიბებიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე და კომისიის აპარატის მუშაკებში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით. კომისიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის მას რამდენიმეჯერ ჰქონდა გამოცხადებული მადლობა და დაჯილდოებული იყო პრემიით.

იუზა ლორიას პიროვნებაში საოცრად იყო შერწყმული ღირსება, ინტელექტი, კეთილშობილება, კეთილმოსურნეობა, დელიკატურობა, დასახმარებლად მუდმივი მზადყოფნა. სიმაღლე და სილაღე უხვად ჰქონდა მომადლებული, ძალდაუტანებლად გამოირჩეოდა ათას კაცში. არ გვახსოვს, ოდესმე ღირსების და სამართლიანობის გრძნობას ეღალატნოს მისთვის, ან ბოროტად გამოეყენებინოს თავისი უპირატესობა.

ადამიანების სამეგობროდ შერჩევა ბატონი იუზა ლორიას მიერ ხდებოდა მისი უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილებით და, როგორც დღეისათვის დასტურდება, არც შემცდარა მათ შეფასებაში. უდიდეს ბედნიერებად მიგვაჩნია, რომ ის თავის უმცროს მეგობრებად გვთვლიდა. ჩვენი ცხოვრების გარკვეული წლების განმავლობაში ახლო და ხანგრძლივი ურთიერთობები მისნაირი დიდი პიროვნების გვერდით ბედისწერის კეთილგანწყობად მიგვაჩნია, რამეთუ, ბევრი ისე ცხოვრობს და ბერდება, რომ ასეთი ადამიანი შეიძლება ერთიც კი არ შეხვდეს ცხოვრების მანძილზე.

უაღრესად დაგვწყვიტა გული ამ ქვეყნიდან ბატონი იუზა ლორიას უცაბედმა წასვლამ.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

## გამოსათხოვარი



დედა მარიამი, მეუღლე მალი, შვილები მაია, ირმა, მარიკა, სიძეები მალხაზ გაბისონია, გიორგი მაღლაკელიძე, თომა ჭანტურია, შვილიშვილები ხატია, ირაკლი, ნათია, თათია, გიორგი, ნუნუ, მალიკო, იუზა და ლიანა, სიძე ნოდარ ჩხაიძე, დისწულები გია, ნინო ჩხაიძეები ოჯახებით, მძახლები ნუნუ ხუნდაძე, ნათელა ბასილაია, ვერიკო ჯამასპიშვილი, ამირან გაბისონია, ჯემალ მაღლაკელიძე, ცოლისძმები ბადრი, ავთანდილ ვაჩეიშვილები ოჯახებით, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა კონსტანტინეს ძე ლორია

პანაშვიდი 8, 9 V, 17 სთ. მის: თამარაშვილის 13 (იპოდრომის მთავარ შესასვლელთან), I სადარბაზო, VI სართ. გამოსვენება 10 V, 14 სთ. ვაკის წმინდა სამების ეკლესიიდან.

# იუზა ლორია

გარდაიცვალა იუზა ლორია, ოჯახის ბურჯი და მოამაგე, საყვარელი მანდილოსნის საამაყო მეუღლე, სამი ქალიშვილის მამა და რვა შვილიშვილის საყვარელი ბაბუა, მოყვრებისა და ნათესავების იმედი, სამეგობროდ ოცნებადქცეული ვაჟკაცი, ახალგაზრდობაში — თბილისის დამამშვენებელი დენდი, სულით მდიდარი, მიმტევებელი და ყარაჩოხელის ალი-კვალი ადამიანი.

გარდაიცვალა უეცრად. ყველაფერი ერთ თვეში დამთავრდა. ბოლო წუთებამდე არ სჯეროდა, რომ სიკვდილი დაიმორჩილებდა.

ყველას სიყვარულს ჩუქნიდა და ვერავინ მოასწრო მისთვის იმდენივე სითბო და სიყვარული დაებრუნებინა. არავისი ვალი არ წაჰყოლია, ყველას მისი სითბო და ვალი დარჩა!

„სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“, — ამბობს გალაკტიონი.

იუზა ლორიას გზა სასუფეველში, მჯერა, ვარდისფერი იქნება!

ამირან გაბისონია

---

უახლოესი მეგობრები ბორის ბოჭორიშვილი, მამია სულაბერიძე, რემი გველესიანი იუწყებიან ყველასათვის საყვარელი ადამიანის, კავშირგაბმულობის ღვაწლმოსილი მუშაკის, საქართველოს ეროვნული და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსის

იუზა ლორიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კომისიის სამეურნეო დეპარტამენტის უფროსი

იუზა ლორია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ოლღა, ბიძინა, გელა, თამაზ მეგრელიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იუზა ლორია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ვახტანგი, ოთარი, და ლენა, შვილიშვილები ირაკლი, ქეთევანი, თამარი, ხათუნა, შვილთაშვილები ლევანი, გიორგი; რძლები ნანა მონიავა, ეთერ კილაძე, ანა ცხადაძე; სიძეები არჩილ ჯაკობია, თენგიზ გოგოტიშვილი. დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგო ანთიმოზის ძე ცხადაძე

გადასვენება 8 V, 11 სთ. ვაზისუბნის ქ. 12 (გაგარინის მოედანთან); გამოსვენება 8 V, 15 სთ. წმ. გიორგის ეკლესიიდან (ვაკის სასაფლაოს ქვედა შესასვლელი, საცურაო აუზთან.)

## მოსაგონარი

# ვლადიმერ მჭედლიშვილი



დაბადების 80 წლისთავი ამ თვენახევრის წინათ შეუსრულდა ვლადიმერ მჭედლიშვილს — „ხანშიშესულ ჟურნალისტთა“ საძმოს ღირსეულ წევრს, სიღნაღის რაიონში დაბადებულ და წითელწყაროში (ამჟამად დედოფლისწყაროში) დავაჟკაცებულ მამულიშვილს, შესანიშნავ ჟურნალისტს, რომელიც, ერთხანს, გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტიც იყო კახეთის რამდენიმე რაიონში.

დიახ, 80 გაზაფხულს მოესწრო ჩვენი კარგი მეგობარი და კოლეგა და აღესრულა დამაშვრალი, ვალმოხდილი სამშობლოქვეყნის, მეგობრების, ახლობლების წინაშე. „კომუნისტის“ კორესპონდენტობამდე ჩვენი ვლადიმერი კარგა ხანს მოღვაწეობდა რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქციაში, ხოლო რამდენიმე გაზეთი რომ გააერთიანეს და „კოლმეურნე“ დაარქვეს, აქ რედაქტორი იყო და მთელი კახეთის მოსაწონ გაზეთს აკეთებდა ნიჭიერ თანამშრომლებთან ერთად.

მის ნაწერს წუნს ვერ დასდებდით, ნაღდი პროფესიონალი იყო, ღრმად სწავლობდა იმ საკითხს, რაზეც წერდა და, ამდენად, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მკითხველთა შორის. ბუნებას მწერლური ნიჭითაც დაეჯილდოებინა ბატონი ვლადიმერი. ზოგი მოთხრობა, ლექსი, მინიატიურა გამოაქვეყნა კიდეც, თუმცა ბევრი ძვირფასი სტრიქონი დარჩა გამოუქვეყნებელი, რომელსაც მისი შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები აუცილებლად გამოიტანენ სამზეოზე.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
თანამშრომლები

## ხელოვნება

# შალვა მჭედლიშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ დიდი, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი, უღირსეულესი ერისკაცი და საზოგადო მოღვაწე შალვა ზაქარიას ძე მჭედლიშვილი.



შალვა მჭედლიშვილის, მწერლისა და მოქალაქის, მშობელი ერის სისხლი სისხლთაგანისა და ხორცი ხორცთაგანის ცხოვრება და შემოქმედება ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ეწამო სამშობლოსათვის, როგორ შეეწირო თავისუფლების წმიდათაწმიდა იდეალებს, გამოიარო ჯოჯოხეთის ყველა კარიბჭე და მაინც არ გატყდე, არ შეშინდე, არ ჩაიხრჩო სიძულვილისა და ვერაგობის შხამში, როგორ გადაარჩინო შენს სულში უმშვენიერეს ყვავილად აღმოცენებული სიკეთე და სათნოება.

შალვა მჭედლიშვილი დაიბადა 1923 წლის 21 აპრილს სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში. შემდეგ მისი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, სადაც მან 28-ე საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და 1941 წლიდან სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. 1945 წელს მე-4 კურსის სტუდენტი ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსებისათვის დააპატიმრეს. მოიარა შორეული პოლარეთი, ვორკუტა, როსტოვის, მოსკოვის, ვოლოგდის, კიროვის, სვერდლოვსკის, პეტრეპავლოვსკის ციხეები. ბოლოს ჩრდილოეთ ყაზახეთში გადაასახლეს. 1953 წელს აღადგინეს ყარაღანდის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტად. ექიმის დიპლომი კი 1956 წელს გადაეცა. იმავე წელს შალვა მჭედლიშვილი საქართველოში დაბრუნდა და სამედიცინო მოღვაწეობას ეწეოდა შოვში, მარნეულში, ბორჯომში, წყალტუბოში, გაგრაში, კოჯორსა და ახტალაში. იგი ყველგან ამაყად და შეურცხვენლადატარებდა ჭეშმარიტი პროფესიონალის, ვაჟკაცისა და ერისკაცის სახელს.

შალვა მჭედლიშვილი ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას 1956 წლიდან ეწეოდა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები.

„სიმღერა შენზე“, „ქოხი ვენახში“, „მგზავრო, იჩქარე“, „სიყვარული ყოველივეს ამარცხებს“, „განთიადის ხმები“, „ოდეს გიჭირდეს ჭირთა თმენა“ — ეს შალვა მჭედლიშვილის ის პოეტური კრებულებია, რომლებიც შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა გულწრფელობისთვის, პოეტური ძალმოსილებისთვის, სიცხადისა და სინათლისთვის, დაუცხრომელი ძიებებისა და მიგნებებისთვის...

უკანასკნელ წლებში შალვა მჭედლიშვილმა კალამი პროზაშიც სცადა და ძალზე საგულისხმო სამი რომანი („ცრუ მზეები“, „სახლი მთვარეზე“, „კვიპაროსები დიდი ზამთრის მერე“) გამოაქვეყნა. ეს რომანებიც ჩვენი ქვეყნის წყევლა-კრულვიან პრობლემებს ეხება. საინტერესო იყო მისი ნოველები, მხატვრული ნარკვევები, კრიტიკული წერილები.

შალვა მჭედლიშვილმა ჩინებულად თარგმნა პიერ ბერანჟეს, პიერ ლაშპროდის, ალექსანდრე ციბულევსკის, მუსა ჯალილის, ლევ გუმილოვის, ოსიპ მანდელშტამის, ავეტიკ ისააკიანის ცალკეული ნაწარმოებები.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ შალვა მჭედლიშვილი, ღირსეული მწერალი, მოქალაქე, ერისკაცი, ერთი მშვენიერი ნიმუში ქართული ქედუხრელობისა და ვაჟკაცობისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

№ 87. ხუთშაბათი, 8 მაისი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● ქართველთმოძულე, უწიგნური კაცი დასავლეთ საქართველოშიც მოგზაურობს



## ◉ მილოცვა



### თამარ წერეთელს

შვილო თამარ,
9 მაისს, გამარჯვების დღესთან ერთად, მე-19 გაზაფხულის
სიხარულსაც მოგილოცავთ –
ჩვენს პირველ სიხარულს,
უდიდეს სიყვარულს,
ჩვენს პირველ შვილიკოს (ოჯახში ლხინ იყოძ,
ჩვენ ხომ შენ შეგხარით და შენით ვსულდგმულობთ,
ჩვენო „მგალობელო“ (თუმც მთლად არ-ბულბულოძ.
იყავი დღეგრძელი, ჯანმრთელი, ჭკვიანი,
გულით კეთილი და ბედით ბედიანი,
ცხრათვალა მზე ცაზე, შენთვისაც ანთია,
ჩვენო „ბურძგლავ“ და „დუდღუნა“ თათიავ.

ხშირად „ჯიჯლინებ“, თან ცოტას გვეფერები,
გილოცავთ, გვიყვარხარ, შვილო, გეფერებით!

შენი მამიკო და დედიკო –
გურამ, ხათუნა წერეთლები

## ◉ „დრო, დრო აღნიშნე!“

### მეოცე საუკუნის ფოტომატიანეს წარმოგვიდგენს ფოტოჟურნალისტი

### გივი ვახტანგაძე



სულ 5 წელია გასული 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიიდან, სულ 5 წელია გასული, რუსის ჯარმა აბობოქრებული თბილისის ცენტრალურ ქუჩებს ცეცხლითა და მახვილით რომ გადაუარა. და აი, „სასურველი“ სტუმარი იმპერიის ცენტრიდან „ჩვენი ძვირფასი ნიკიტა სერგეევიჩი“ თბილისში ჩამოდის. მერე კი, ქართველთმოძულე, უწიგნური კაცი დასავლეთ საქართველოშიც მოგზაურობს. ერთი დახედეთ, დახედეთ, ვითომ, ძალიან ესმოდეს ეს საქმე: მახარაძის ჩაის ფაბრიკაში ჩაის დამზადების პროცესს გულდასმით აკვირდება ნიკიტა და, მოგვიანებით, შეფასებასაც აძლევს: „გრუზინსკი ჩაი, სამი ლუჩში ჩაი 3 მირე“. იქვე დგანან (სახეზე ეტყობათ, რა ხასიათზეც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე.

## ◉ ყურადღება!

### ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს




ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალსძ, 2007 წლის მე-2 ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ბიბლიოთეკას.

ქართველ ავტორთაგან ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებულია ვალერიან დოლიძის „ხელისუფლება და „რევოლუცია“ პოსტსაბჭოთა საქართველოში“ და დემურ ჩომახიძის „საქართველო: სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი დამოუკიდებლობის წლებში“.

ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ კვალიფიციურ ავტორებს.

ახალი წლიდან ჟურნალი ხელმოწერითაც ვრცელდება.

ტელ: 899 53 76 16, 98 96 33

## ◉ ინფორმაცია

### ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალი — ბათუმში

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების VI საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა.

ფესტივალში 29 ქალაქის 61 ანსამბლი იღებს მონაწილეობას, მათ შორის, საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების – თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ანსამბლები.

საერთაშორისო ფესტივალი ბათუმში 3 დღეს გაგრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## ◉ კადრი



## ◉ ანეკდოტები

ზის ცხვირჩამოშვებული ებრაელი.

– რა გატირებს, მოშე? – ეკითხება აბრამი.

– ორი ლატარიის ბილეთი ვიყიდე და მანქანა მოვიგე.

– მერე ამის გამო ტირი?

– მაგიტომ კი არა, რად დავხარჯე მე სულელმა ფული მეორე ბილეთში?

* * *



– გუშინ სურათების გამოფენაზე ვიყავი და უნდა გითხრა, რომ ერთადერთი ტილო, რომლის დათვალიერება-შეფასებაც შეიძლებოდა, შენი იყო.

– დიდი მადლობელი ვარ, ჩემო მეგობარო. ჩემი კოლეგების ნახატებზე რას იტყოდი? ოღონდ ასევე გულახდილად მითხარი, თუ შეიძლება.

– სამწუხაროდ, მათ წინ იმდენი ხალხი ირეოდა, რომ ვერც მივუახლოვდი.

* * *

ორი დაქალი ერთმანეთს შეხვდა.

– ჩემი ქმარი სახლიდან წავიდა. – ამბობს ერთი.

– რატომ?

– შენ შეძლებდი ისეთ ადამიანთან ცხოვრებას, ვინც სვამს, ეწევა, ჩხუბობს, იგინება?

– ვერა.

– ჰოდა, ისიც წავიდა.

* * *

სტუდენტი მიხო შეხვდა სტუდენტ ნიკას.

– რამდენი გამოცდა ჩააფლავე?

– ხვალინდელის ჩათვლით – ხუთი.

* * *

სარამ რამდენიმე უძილო ღამე გაატარა მძიმედ ავადმყოფი ქმრის საწოლთან.

– აბრამ, – წამოიკნავლა ბოლოს, – თუნდაც რამდენიმე წუთით უნდა მოვატყუო თვალი. თუ სიკვდილი დააპირო, გამაღვიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.